საქ. სახ. ... ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 288 (19480) ◆ სამშაბათი, 17 დეკემბერი, 1985 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სპეციალისტი დღენიადაგ უნდა სწავლობდეს

ყრილობისწინა დოკუმენტებში დიდი და გამორჩეული ადგილი უჭირავს აგროსამრეწველო კომპლექსის შემდგომ სრულყოფასა და განვითარებას. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით და ნედლეულით ქვეყნის მშრომელთა უზრუნველყოფა სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის განუყოფელი ნაწილია. ამ პროგრამის განხორციელება დღეს შეძლებელია მხოლოდ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებით. ამაში დიდი როლი უნდა შეასრულონ სპეციალისტებმა. კარგი აგრონომი, ზოოტექნიკოსი, ინჟინერი, მელიორატორი, ტექნოლოგი ახლა სოფლად ძვირად ფასობს. სწორედ მათზეა დამოკიდებული საზოგადოებრივი მეურნეობების მინდვრებში, ბაღებსა და ფერმებში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების სრულყოფილად დანერგვა.

წლეულს, სექტემბრის დამდეგს, ქალაქ ცელინოგრადში გამართულ პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირზე ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა გარკვევით და ხაზგასმით თქვა: „ინტენსიური ტექნოლოგიის პირობებში მაქსიმალური ეფექტი რომ მივიღოთ, კვალიფიციური კადრები უნდა გვყავდეს. მათ კარგ პროფესიულ მომზადებას ყველგან როდი მივაღწიეთ.

ჩვენში ბევრი ამგვარადაა მიჩვეული მუშაობას: დათესავს, რაც მოვა, იმას აიღებს. საზრუნავიც ამით ამოიწურება. ინტენსიური ტექნოლოგიის პირობებში ამგვარად მუშაობა არ შეიძლება. კულტურების მოყვანისას საჭიროა მიწათმოქმედის დახვეწილი და წიგნიერი მუშაობა. აი ამიტომ უნდა ვასწავლოთ კადრებს. ღრმა ცოდნის გარეშე არაფერი გამოვა. ეს ამხანაგებო, უხვი და მყარი მოსავლის მოწევის საიმედო გზაა".

რომ უხელმძღვანელო ამა თუ იმ საქმეს სოფლად, საჭიროა ღრმა, საფუძვლიანი ცოდნა, რომ იცოდე, ყოველდღიურად, რეგულარულად უნდა იხწავლო. ცოდნის დონის აუმაღლებლად, რაც უნდა კარგი სპეციალისტი იყოს, ცხოვრებას ჩამორჩება. ეს კი ნიშნავს, რომ სახელმძღვანელო უბანზე — ფერმაში, ბრიგადაში, კოლმეურნეობასა თუ საბჭოთა მეურნეობაში ყველაფერი რიგზე ვერ იქნება და ეკონომიკური მაჩვენებლებიც თანდათან დაქვეითდება. ამას კი ჩამორჩენა და კუდში მაჩანჩალობა მოსდევს. ეს რომ არ მოხდეს, პარტიის სასოფლო რაიკომების, რაისაბჭოს აღმასკომებისა და აგროსამრეწველო გაერთიანებების უშუალო ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით ზამთრის პერიოდში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში იქმნება კვალიფიკაციის ასამაღლებელი სკოლები და კურსები. რეგულარულად მოქმედებს რაიონული და რესპუბლიკური კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. კურსების მსმენელებს ერუდირებული, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ასწავლიან ყოველივე იმას, რაც ჩვენს მეცნიერებას, წარმოების მოწინავეებს წლობით შეუქმნიათ.

გარდაბნის რაიონის თელეთის ექსპერიმენტული მეურნეობა-ტექნიკუმის მთავარ აგრონომს გოდერძი მდივანს ყველა იცნობს, როგორც ნიჭიერ, სწავლულ აგრონომს. დიდძალი სასოფლო-სამეურნეო, ეკონომიკური და მხატვრული ლიტერატურაა მის პირად ბიბლიოთეკაში, გამოწერილი აქვს სასოფლო-სამეურნეო ჟურნალ-გაზეთები, უმაღლეს სასწავლებელში მიღებულ ცოდნას ყოველდღიურად ამდიდრებს და შემდეგ საზოგადოებრივ საქმიანობაში კარგად იყენებს. როგორც კი დაზამთრდება, სოფელში იწყება უახლეს მეცნიერულ მიღწევათა და მოწინავეთა გამოცდილების შემსწავლელი სკოლის მეცადინეობა. მისი მსმენელები არიან საშუალო რგოლის — ბრიგადების, ფერმების, სახელოსნოების ხელმძღვანელები. მისი მსმენელები შესანიშნავ წარმატებას აღწევენ მეურნეობაში. ამიტომ არის, რომ მეურნეობა ყოველთვის დროულად ასრულებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს და სახელმწიფოს დიდძალ მაღალხარისხოვან პროდუქტებს მიჰყიდიან ხოლმე. ამასთან პროდუქტების თვითღირებულება საგეგმოზე გაცილებით ნაკლებია. აქ ყველა დარგი რენტაბელურია, შრომის ანაზღაურება კი ერთობ დიდია, საერთოდ გარდაბნის რაიონში საგვიანო კულტურების აღების შემდეგ თითქმის ყველა მეურნეობაში შეიქმნა მექანიზატორთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. მანქანების რემონტის პარალელურად მეცადინეობა წარმატებით მიმდინარეობს. საერთოდ გარდაბნის რაიონი ამ ბოლო წლებში მეცნიერების მიღწევათა დანერგვის პოლიგონად იქცა.

ნათქვამია — სწავლა სიბერემდეო! სოფლად იმასაც იტყვიან ხოლმე — სწავლა კაცს არასოდეს მოსჭარბდებაო. ამიტომ ახალგაზრდა, ხანდაზმული თუ საშუალო ასაკის სპეციალისტები სიახლეებს გულმოდგინედ უნდა სწავლობდნენ. ეს ჭეშმარიტება ყრილობისწინა დოკუმენტების განხილვის დროს ახალ შინაარსს იძენს. ამ სამომავლო დოკუმენტებს ყველა სპეციალისტი აქედანვე უნდა სწავლობდეს, რესპუბლიკის, რაიონის და სოფლის დღევანდელ პირობებს უნდა უხამებდეს, რომ ახალი, მეთორმეტე ხუთწლედის დასაწყისიდანვე მუშაობა თავის უბანზე ინტენსიურად, მეტი შემართებით წარმართოს.

სპეციალისტი, რომელმაც კარგად იცის თავისი საქმე, გაბედულად გადადის ახალ ტექნოლოგიებზე, მატერიალური რესურსებისა და რეზერვების გამოყენების უფრო ეფექტიან ფორმებზე. სპეციალისტმა ყოველვე ეს რომ კარგად გააკეთოს, ზედმიწევნით ხანმუშოდ უნდა ჰქონდეს შესწავლილი იმ მიწების შემადგენლობა და კონკრეტული კლიმატის პირობები, სადაც წლობით უხდება მუშაობა. ახეთი სპეციალისტი არც გვალვას მოიმიზეზებს და არც სხვა სტიქიურ მოვლენას შეუშინდება.

მექანიზატორი რომ სოფლად ერთ-ერთი მთავარი ფიგურაა, ყველამ იცის, ამიტომაც მექანიზატორთა სწავლებას დიდი ყურადღება ექცევა. მეთერთმეტე ხუთწლედის განვლილი დროის მანძილზე საქართველოში შეიქმნა მექანიზატორთა კადრების მოსამზადებელი ათობით სპეციალური სკოლა. მარტო ამ სასწავლო წელს სკოლებს ოთხი ათასამდე კაცი დაამთავრებს, რომელთაგან ბევრი შემდეგ უხელმძღვანელებს მეჩაიეთა და მემინდვრეთა ბრიგადებს და რგოლებს. ქებას იმსახურებს ზუგდიდის რაიონში და ქალაქ გაგრის ზონაში გახსნილი სასწავლო კომბინატების მუშაობის პრაქტიკა. აქ მშრომელები სწავლობენ უსაფრთხოების ტექნიკას, ინტენსიურ ტექნოლოგიას, მცენარეთა მავნებლებთან ბრძოლის თანამედროვე მეთოდებს. სოფლის მშრომელთა სწავლება მომავალში უფრო გაუმჯობესდება. იწყება აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის უმაღლესი სკოლის მშენებლობა. სკოლას ექნება სპეციალური სასწავლო კორპუსი, ლაბორატორიები, საერთო საცხოვრებელი; 150-ჰექტრიან საცდელსასწავლო საჩვენებელ ნაკვეთზე მსმენელები პრაქტიკულად განიმტკიცებენ თეორიულ ცოდნის დონეს. იქვე იქნება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საგამოფენო მოედანი, სადაც პრაქტიკულად დაეუფლებიან ყოველგვარი მანქანების მართვასა და მოვლა-პატრონობის საქმეს. სკოლა წლიწადში ოთხას სპეციალისტს გამოუშვებს. ამ სკოლადამთავრებულ სპეციალისტს თანამედროვე სოფლის მეურნეობის ყოველგვარი სიახლენი ეცოდინება, რაც მუშაობაში კარგად გამოადგება.

რატომ ხდება, რომ ზოგიერთ უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდა სპეციალისტს ხელმძღვანელ პოსტზე მუშაობა უჭირს? ეს იმიტომ, რომ ზოგიერთ სასწავლებლებში, ეტყობა, ნაკლები ყურადღება ექცევა ეკონომიკისა და ორგანიზაციის საკითხების სწავლებას, ზოგან თეორია პრაქტიკით ვერ არის განმტკიცებული, სასწავლო პროგრამებში დროულად ვერ შეაქვთ უახლესი მეცნიერული მიღწევებისა და გამოცდილების სწავლების საკითხები. ახეთ დროს ცხადია სპეციალისტი ვერ ეუფლება სიახლეებს და მას მუშაობა უჭირს. მონდომებული, თავისი პროფესიის მოყვარული სპეციალისტები სტუდენტობის დროს დანაკლისს მალე ანაზღაურებენ კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე, მაგრამ ხომ არიან დაუდევრებიც? არიან და ახეთ კაცს მუშაობა უჭირს და საქმესაც წაახდენს ხოლმე, რაც საზოგადოებრივ მეურნეობას ძვირად უჯდება. ასე იყო ხართიჭალის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობაში, როცა მთავარმა აგრონომმა ა. ოქრუაშვილმა თავისი ხუსტი, მოუქნელი მუშაობითა და უდარდელობით სოფელში სახიკეთო ვერაფერი გააკეთა და საქმე ჩაშლამდე მიიყვანა. როგორც პარტიის გარდაბნის რაიკომმა გვაცნობა, აგრონომი ხუსტი მუშაობისათვის გაათავისუფლეს სამუშაოდან.

ახლა, ყრილობისწინა დოკუმენტების განხილვის პერიოდში, როცა ბევრი სიახლე ილებს ხათავეს და აგროსამრეწველო გაერთიანებებში ბევრი დიდმნიშვნელოვანი ცვლილება ხდება, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს კადრების სწორად შერჩევასა და სპეციალისტთა სწავლებას, რათა ახალი ხუთწლედის პირველივე წლიდან სოფლის მეურნეობას მყარი საფუძველი ჩაუყაროთ.

სკკპ XXVII ყრილობა

მოდის ცეცხლგამძლე აგური

ზესტაფონი. (საქ. კორ.). ძირულის ცეცხლგამძლე ნაწარმის ქარხნის კოლექტივმა პროდუქციის გამოშვების ხუთწლიანი გეგმა ჯერ კიდევ ოქტომბერში შეასრულა და დავალებით გათვალისწინებული 2344 ათასი მანეთის ნაცვლად 2360 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა.

მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე პროდუქციის რეალიზაციის გეგმა. წარმოების მოცულობის ზრდის ტემპმა 132,4 პროცენტი შეადგინა, ხოლო შრომის ნაყოფიერება 43,5 პროცენტით გაიზარდა, თვითღირებულება 12.1 პროცენტით შემცირდა.

მიმდინარე წელს მწყობრში ჩადგა ახალი საყალიბო საამქრო და დაიწყო გვირაბისებური ღუმლის მშენებლობა. საექსპლოატაციოდ გადაეცა ადმინისტრაციული შენობა. აშენდა აბანო, კეთილმოეწყო წითელი კუთხე, სასადილო და მაღაზია. მალე მწყობრში ჩადგება სასწავლო საწარმო ძირულის და შრომის საშუალო სკოლების მოსწავლეთათვის. ხუთწლედის დამლევამდე ქარხანა მთლიანად გადავა შრომის ბრიგადული ანაზღაურების სისტემაზე. ხუთწლიანი დავალების გადამეტებით აქ 636 ათასი მანეთის პროდუქციას გამოუშვებენ.

პ. შარიქაძე,
„კომუნისტის" საქ. კორ.

შემცირდა თვითღირებულება

მახარაძე. (საქ. კორ.). სამი ათეული წლის წინათ ააგეს მძლავრი ელექტროსადგური მთის გიჟმაჟ მდინარე ბჟუჟზე. ახლა ბჟუჟჰესი მოწინავე საწარმოა რაიონში. აქაურმა მშრომელებმა ერთ-ერთმა პირველებმა უპატაკეს ქვეყანას მეთერთმეტე ხუთწლედის დავალების ვადამდე შესრულება. 290 მილიონ კილოვატსაათი ელექტროენერგიის ნაცვლად გამოიმუშავეს 292,7 მილიონი კილოვატსაათი. სკკპ XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩინებული შედეგები აქვთ მოპოვებული. წლიური ვალდებულება 15 ნოემბრისათვის შეასრულეს და დაზოგეს 14.520 კილოვატსაათი ელექტროენერგია. კილოვატსაათი ენერგიის თვითღირებულება 1 პროცენტით შეამცირეს.

ბჟუჟჰესელებს გადაწყვეტილი აქვთ სკკპ XXVII ყრილობის გახსნის დღისათვის ვალდებულების გადამეტებით გამოიმუშაონ სულ ცოტა 4,5 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია.

„წლიური ნოვატორთა დევიზით: გეგმა — ვადამდე!"

ყველა რეისი — ვადამდე

ბათუმი. (საქ. კორ.). საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ტანკერი „აკადემიკოსი დავითაია" ორი წელია რაც ფლოტს შეემატა და ამ ხნის განმავლობაში მისმა ეკიპაჟმა საგრძნობ წარმატებებს მიაღწია. წლეულს მეზღვაურები ცხრაჯერ იყვნენ გვინეაში და ყველა რეისი და გეგმები ვადამდე შეასრულეს. ეკიპაჟი ახლა რვასაათიანის ნაცვლად ათსაათიან ვახტს ეწევა და ამ ფაქტმაც მნიშვნელოვნად განაპირობა მისი წარმატება.

ახლახან სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროს კოლეგიამ და საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა სოციალისტური შეჯიბრების 9 თვის შედეგებით „აკადემიკოს დავითაიას" ეკიპაჟი გამარჯვებულად ცნეს და გარდამავალი წითელი დროშით დააჯილდოვეს.

ეკიპაჟის გადაწყვეტილებაა მიმდინარე წლის დავალება ყველა მაჩვენებლების მიხედვით გადაჭარბებით შეასრულოს და ღირსეულად შეხვდეს სკკპ XXVII ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას.

მეცხოველეობის კომპლექსი

რესპუბლიკის დედაქალაქში პირველი რამოდენიმე ტონა რძე გამოგზავნა დუშეთის მეცხოველეობის ახალმა კომპლექსმა. მეურნეობა, სადაც 800 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი ჰყავთ, გათვალისწინებულია წელიწადში 1,5 ათასი ტონა რძის წარმოებისათვის. მეურნეობას აქვს საკუთარი საკვები ბაზა. დაახლოებით 1,5 ჰექტარი გაკულტურებული მიწა განკუთვნილია საკვები ბალახის, საძოვრების, სათიბებისათვის.

რესპუბლიკაში გრძელდება სახორცე-სარძეო მეჯოგეობის განვითარების დაჩქარების კურსი. უკვე მოქმედებს მთელი რიგი დიდად მექანიზებული მეცხოველეობის კომპლექსები. დიდ პროდუქტიული ჯოგის ჩამოყალიბებასა და მის განახლებას ემსახურებიან სპეციალური ჯიშთსაშენე საბჭოთა მეურნეობები.

მეცხოველეობის წილად მოდის რესპუბლიკაში წარმოებული სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის დაახლოებით ორმოცი პროცენტი.

მეთორმეტე ხუთწლედში გაგრძელდება მუშაობა დარგის შემდგომი განვითარებისათვის. განსაზღვრულია საძოვრებისათვის გამოიყოს მთისა და მთისწინეთის ორი ათას ჰექტარზე მეტი მიწები. დასახულია საკვები კულტურების საერთო მოცულობაში უხვმოსავლიანი მრავალწლოვანი ბალახების ფართობი 60 პროცენტამდე გაიზარდოს.

ამხანაგი ი. ვ. კაპიტონოვი თბილისში ჩამოვიდა

16 დეკემბერს საქართველოს დედაქალაქში ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. კაპიტონოვი. იგი მონაწილეობას მიიღებს საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მუშაობაში, რომელიც განიხილავს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების 1986-2000 წლების კომპლექსური პროგრამის განხორციელებისათვის რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანებს.

თბილისის აეროპორტში ამხანაგ ი. ვ. კაპიტონოვს დახვდნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, გ. ა. ანდრონიკაშვილი, გ. ა. ანჩაბაძე, გ. დ. გაბუნია, პ. გ. გილაშვილი, კ. ა. კოჩეტოვი, ბ. ვ. ნიკოლსკი, დ. ლ. ქართველიშვილი, ნ. ა. ჩიტანავა.

ამხანაგ ი. ვ. კაპიტონოვთან ერთად ჩამოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების განყოფილების გამგის მოადგილე ნ. ი. ბოჩკოვი, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ა. ი. ეფიმოვი.

იმავე დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. ვ. კაპიტონოვმა დაიწყო სახალხო მოხმარების საქონლის მწარმოებელი საწარმოების, მომსახურების სფეროს ობიექტების მუშაობის გაცნობა. (საქინფორმი).

მოწინავეთა მხარდამხარ



„დილა" ხარისხის გარანტიას იძლევა

ყოველდღიურად გორის ანალიზური ხელსაწყოების საწარმოო გაერთიანება „დილის" ქარხნის მთავარი კონვეიერიდან 52 დასახელების პროდუქცია ჩამოდის. თოთხმეტი მათგანი საექსპორტოდ იგზავნება ინდოეთსა და ეგვიპტეში, მოზამბიკსა და თურქეთში, კუბასა და იემენში, მსოფლიოს მრავალ სხვა ქვეყანაში.

გაერთიანების კოლექტივმა ვალდებულება იკისრა ახალი შრომითი წარმატებებით შეხვდეს სკკპ XXVII ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას. მარტო ხუთწლედის დამამთავრებელ წელს გამოუშვებენ 8 მილიონ მანეთისაზე მეტ ხელსაწყოს.

სურათებზე: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ელექტროაპარატურის ამწყობ-ზეინკალთა ბრიგადირი გაიოზ ვატიაშვილი საყრილობო შრომითი ვახტის ლიდერთა შორის არის; საინსტრუმენტო საამქროში.

ლ. გუსოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მეგობრულ ვიზიტად

საბჭოთა ხელმძღვანელობის მოწვევით 16 დეკემბერს მოსკოვში სამუშაო მეგობრულ ვიზიტად ჩამოვიდა ერაყის რესპუბლიკის რევოლუციური სარდლობის საბჭოს თავმჯდომარე, რესპუბლიკის პრეზიდენტი სადამ ჰუსეინი.

აეროდრომზე მას დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სხვა ოფიციალური პირნი. (საქტასი).

პროფკავშირები: მოქმედების რადიუსი

დირექტორის ერთგული თანაშემწენი

კადრის მუშათა გაანგარიშებანი საფუძვლად დაედო თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო საწარმოო გაერთიანების დირექტორის ბრძანებას კიდევ ათი ბრიგადის სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შესახებ. ეს სამუშაო შეასრულეს მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირის მონაწილეებმა.

სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის შესახებ ადმინისტრაციის ბრძანებაში განსაკუთრებული ადგილი დაეთმო ბრიგადების გამსხვილებას. მისი მნიშვნელობა აღნიშნეს თავიანთ რეკომენდაციებში თვით მუშებმაც. ამის შედეგად ახალ შექმნილ კოლექტივებში უკეთ გეგმავენ მუშაობას, უზრუნველყოფენ ადამიანთა შენაცვლებას. სწორედ ასეთი მიდგომის საჭიროებას უკარნახებს საწარმოს ის დიდი და პასუხსაგები ამოცანები, რომლებიც ავიამშენებელთა წინაშე დგას პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში, ხარისხი კი სამწუხაროდ, ყოველთვის როდი შეესაბამება მკაცრ მოთხოვნებს. ამის შესახებ პრინციპული სჯაბაასი გაიმართა გაერთიანების პარტიულ-სამეურნეო აქტივის ამასწინანდელ კრებაზე.

ახლა საწარმოში შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადულ ფორმაზე გადასულია მუშების თითქმის 70 პროცენტი.

„მუდმივმოქმედი თათბირები რესპუბლიკაში წარმოების საკითხთა გადაწყვეტაში მშრომელთა ჩაბმის დიდმნიშვნელოვანი ინსტრუმენტი გახდა, — თქვა საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ლ. ხარბედიამ. — მართვაგამგეობაში მშრომელთა მონაწილეობის გაფართოების საჭიროებას მიგვანიშნებს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეთორმეტე ხუთწლედისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტიც. სწორედ ამ ფუნქციას ასრულებს თათბირები, რომლებიც ხელს უწყობს შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებას, მის გამოყენებას საწარმოთა ცხოვრების საარსებო საკითხების გადასაწყვეტად, წარმოების ეფექტიანობის უზრუნველყოფას, კოლექტიური შრომის შედეგებით თითოეულის დაინტერესების გაძლიერებას. პრაქტიკულად ყველა მსხვილ საწარმოში შექმნილი თათბირები ახლა ორასი ათასზე მეტ კაცს აერთიანებენ. მარტო მიმდინარე წელს მათი წინადადებისა და რეკომენდაციების რეალიზაციის მეოხებით სავარაუდო ეკონომიკური ეფექტი ათმილიონობით მანეთს შეადგენს.

კვლავ მწყობრში რჩებიან

პენსიაზე გასვლის შემდეგ კვლავ დაუბრუნდნენ მშობლიურ კოლექტივს ინჟინერი მ. კბილაძე, ზეინკალი გ. მანჩხავა, მისი კოლეგა პ. ცომაია, მუშა ზ. შუტკოვა და სხვები — სულ თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის ას ორმოცდაათზე მეტი ყოფილი მუშაკი. ზოგიერთმა მათგანმა არ მოინდომა გამოეცვალა პროფესია და ახლა არასრულ ცვლას მუშაობს თავისი სპეციალობით. სხვებმა — უკვე პენსიონერებმა დაამთავრეს საწარმოში მოკლევადიანი კურსები და მუშაობენ ტექნიკური კონტროლის განყოფილების კონტროლიორებად, გამმართველებად.

საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში კვლავ ჩასაბმელად ვეტერანებს დაეხმარა ქარხნის პროფკავშირის კომიტეტის საწარმოო კომისია. მისი ყურადღების ცენტრშია შრომის დაცვის, ვეტერანთა ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების პირობების გაუმჯობესების საკითხები.

— ასეთი კომისიები მოქმედებს რესპუბლიკის ბევრ საწარმოში — თქვა საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ი. ხაზარაძემ. — მათი ინიციატივით გადაისინჯა მთელი რიგი კოლექტივების სოციალური განვითარების გეგმები რათა ნაყოფიერი მუშაობის პირობები შეექმნა წარმოების ვეტერანებისათვის. კერძოდ, მოგვარდა მათთვის ახალი პროფესიების სწავლება, შედგა სამუშაო ადგილების ნუსხა ოპტიმალური შრომითი დატვირთვით. და აი, ძველი მუშათა გვარდიის წარმომადგენლები ახლა გატაცებით მუშაობენ ახალგაზრდობასთან, უზიარებენ მას თავიანთ მდიდარ გამოცდილებას. შრომითს კოლექტივებში ვეტერანთა დაბრუნებას დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური თვალსაზრისითაც. მაგალითად, საწარმოებში, რომლებიც სახალხო მოხმარების საქონელს უშვებენ, იგი შესაძლებლობას იძლევა უფრო ფართოდ გამოვიყენოთ შინმომუშავეთა შრომა. საამისოდ საჭირო ჩვევებს პენსიონერები საწარმოთა სასწავლო კომბინატებში ეუფლებიან.

სულ რესპუბლიკაში მეთერთმეტე ხუთწლედის დამდეგიდან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას დაუბრუნდა დაახლოებით ასი ათასი პენსიონერი.

(საქინფორმი).

ჯარიმები — ვისი ჯიბიდან?

ელექტროენერგიის გადამეტხარჯვისათვის მარნეულის რკინაბეტონის ნაწარმის ქარხანა ნოემბერში 720 მანეთით დააჯარიმეს.

სამწუხაროდ, ასეთი საწარმოები ბევრია, დაახლოებით ორასი მილიონი კილოვატსაათი შეადგინა რესპუბლიკაში ცხრა თვის მანძილზე ელექტროენერგიის გადამეტხარჯვამ. ვინ არის ელექტრობის ყველაზე მფლანგველ მომხმარებელთა შორის? ესენია გურჯაანის ხორცის კომბინატი, ახალქალაქის ლუდის ქარხანა, გალის ეთერზეთოვანთა მეურნეობა, გაგრის თევზის ქარხანა... ამ და სხვა საწარმოებმა უყაირათობისათვის 682 ათასი მანეთი ჯარიმა გადაიხადეს.

სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში აღნიშნულია, რომ რესურსების დაზოგვა გახდება სათბობზე, ენერგიაზე, ნედლეულსა და მასალებზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა მატების დაკმაყოფილების გადამწყვეტი წყარო.

მაგრამ, როგორც ფაქტები მოწმობს, ყველგან როდი იქცა ეს ულიცლობელ კანონად ეკონომიის რეჟიმი. საქმთავარენერგოს ენერგოზედამხედველობა სისტემატურად ამოწმებს სახალხო-სამეურნეო ობიექტებს — ელექტროენერგიის მომხმარებლებს. ეს შემოწმებანი ცხადყოფს, რომ ბევრ საწარმოში ვერ ასრულებენ ელექტროენერგიის დაზოგვის დავალებებს.

მაგრამ უგერგილობა, უყაირათობის ასეთი ანაზღაურება ვერაფერი სანუგეშოა. მაღაზიაში ელექტროენერგიას ფულით ვერ იყიდი. მისი მიღებისათვის ათასობით ადამიანის შრომაა საჭირო.

რესპუბლიკაში ბევრია ისეთი საწარმო და ორგანიზაცია, რომლებიც სისტემატურად ასრულებენ გეგმებს და აღწევენ მაღალ ეკონომიკურ მაჩვენებლებს, ამავე დროს კი ელექტროენერგიის დადგენილი ლიმიტების ფარგლებში ხარჯავენ, ზოგჯერ მას, ასე ხდება, მაგალითად, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო საწარმოო გაერთიანებაში, თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებასა და „ბახტრიონის" ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანებაში, მთელ რიგ სხვა საწარმოებში.

ენერგორესურსები მომჭირნედ უნდა ხარჯონ ინდივიდუალურმა მომხმარებლებმაც. ამავე დროს ბევრი მათგანი არათუ არ ზოგავს ენერგიას, არამედ ზედმეტად ხარჯავს მას. რესპუბლიკის ზოგიერთი მცხოვრები თვითნებურად ცვლის საანგარიშსწორებო მრიცხველების ჩართვის სქემებს, ახიანებს მათ, ხსნის პლომბს, მიმართავს სხვა უცერის საქციელს, რათა შემცირონ მრიცხველის ჩვენებები და ნაკლები გადაიხადონ ელექტროენერგიის გამოყენებისათვის.

სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მომჭირნე, რაციონალური გამოყენება საყოველთაო საქმე უნდა გახდეს. თითოეული მუშა და სპეციალისტი დიდად უნდა იყოს ამით დაინტერესებული. ასეთ დაინტერესებას შეუძლიათ და კიდეც უნდა მისცენ სტიმული — მორალური და მატერიალური — საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა.

რ. უჟურიძე,
საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი საწარმოო სამმართველოს ენერგოზედამხედველობის დირექტორი.
(საქინფორმი).

ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

დუშანბე. 14 დეკემბერი. (საქდესი). დღეს გაიმართა ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც საორგანიზაციო საკითხი განიხილა. პლენუმმა გაანთავისუფლა რ. ნ. ნაბიევი ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის მოვალეობისაგან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია კ. მ. მახკამოვი, რომელიც ტაჯიკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობდა.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე გ. პ. რაზუმოვსკი.

დიდი მომთხოვნელობით, საქმიანად

მოსკოვი. 14 დეკემბერი. (საქდესი). კიევის რაიონი ერთ-ერთი უდიდესია დედაქალაქში. მისი თავისებურება ის არის, რომ აქ დიდი თანამედროვე წარმოება ორგანულად ეხამება მეცნიერების, მართვის სფეროს, კულტურის მრავალრიცხოვან დაწესებულებებს, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ფართო ქსელს. ამ თავისებურებამ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა დღეს მოწყობილი რაიონულ საანგარიშო საარჩევნო პარტიულ კონფერენციაზე გამართული საქმიანი სჯაბაასის მიზანდასახულობა. კომუნისტების გამოსვლები გამოირჩეოდა მომთხოვნელი შეფასებებით, გაწეული მუშაობის ღრმა, ობიექტური ანალიზით, თვითკრიტიკულობით, ხვალინდელი დღისადმი სწრაფვით. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. გრიშინი.

კონფერენციაზე გამოსულმა ორატორებმა ილაპარაკეს საქმიან განწყობაზე, რომელიც ყველგან სუფევს, უკეთ, უფრო ეფექტიანად შრომის სურვილზე, აღნიშნეს, რომ საჭიროა თითოეულ კომუნისტს, თითოეულ მშრომელს ჩავუნერგოთ დიდი პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისათვის, შეურიგებლობა არაორგანიზებულობის, დისციპლინისა და წესრიგის ყოველგვარი გამოვლინებისადმი.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა ვ. ვ. გრიშინმა.

ავამოქმედოთ რეზერვები

მინსკი, 14 დეკემბერი. (საქდესი). წარმოების ინტენსიფიკაციაში კომუნისტთა წვლილის შესახებ, ეკონომიკისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების შესახებ მიმდინარეობდა საქმიანი, პრინციპული სჯა-ბაასი დღეს აქ გამართულ საქალაქო საანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კონფერენციაზე. კონფერენციაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი.

კონფერენციაზე გამოსულებმა ძირითადი ყურადღება დაუთმეს წარმოების ეფექტიანობის გადიდებისა და მუშაობის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების რეზერვების ძიებას, აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ პრობლემის გადაჭრის ინტენსიური ფაქტორების გამოყენებას.

დელეგატებმა მომთხოვნელად გაანალიზეს ნაკლოვანებანი, ილაპარაკეს ორგანიზაციულ-პარტიული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი სრულყოფის, სოციალურ-საყოფაცხოვრებო საკითხების წარმატებით გადაჭრის გზების შესახებ.

კონფერენციაზე გამოვიდა ნ. ი. რიჟკოვი.

კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში

ტაშკენტი. 14 დეკემბერი. (საქდესი). პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის, მუშაობის ყველა დონეზე საქმის ვითარების ღრმა ანალიზის ატმოსფეროში ჩაიარა საანგარიშო-საარჩევნო კრებებმა ტაშკენტის ძირეულ პარტიულ ორგანიზაციებში. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საჭირბოროტო პრობლემებზე, საყრილობო დოკუმენტების პროექტებში, პარტიის მიერ კომუნისტების, მთელი საზოგადოების წინაშე დასახულ ისტორიულ ამოცანებზე გამართული ეს დიდი და გულახდილი სჯა-ბაასი გაგრძელდა და გაღრმავდა დღეს ქალაქის პარტიულ კონფერენციაზე. მის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. ელცინი.

ორატორებმა თქვეს, რომ საჭიროა გააძლიერონ პარტიული ორგანიზაციების მებრძოლურობა ჩამორჩენილობის, ფორმალიზმისა და მოჩვენებითობის, ჩვენი წინსვლის ხელისშემშლელი სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ. უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტა, ხაზი გაუსვეს დელეგატებმა, შეუძლებელია ყოველ პარტიულ ორგანიზაციაში მუშაობის ლენინური სტილის დამკვიდრებლად.

კონფერენციაზე გამოვიდა ბ. ნ. ელცინი.

სკკპ XXVII ყრილობის შესახვედრად

განვიხილავთ პარტიის ყრილობისწინა დოკუმენტებს

ნათლად გამოვხატოთ უზენაესი მიზანი

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტი თავისი შინაარსით ერთსულოვან მოწონებას იმსახურებს. ამიტომ ჩვენი ქვეყნის მშრომელები მის გამოქვეყნებას დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ.

ამასთან ამ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტის ტექსტის სრულყოფის თვალსაზრისით დაგვებადა ზოგიერთი წინადადება, სურვილი, მოსაზრება. პროექტში ვკითხულობთ: „პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის უზენაესი მიზანი იყო და არის ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი ამაღლობა" (თავი I, გვ. I, სვ. 3, აბზაცი მეორე).

როგორც ცნობილია, სოციალისტური წარმოების მიზნის განსაზღვრასთან დაკავშირებით, პარტიის პირველი პროგრამის პლეხანოვისეული პროექტის მიმართ ვ. ი. ლენინის შენიშვნებში ხაზგასმულია საზოგადოების ყველა წევრის სრულ კეთილდღეობასთან, თავისუფალ, ყოველმხრივ განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები. ვინაიდან სკკპ ეკონომიკური სტრატეგია უშუალოდ ემყარება ამ ობიექტურ მიზანს — სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის ერთ-ერთ მთავარ სტრუქტურულ ელემენტს, მართებულად მიგვაჩნია მისი უზენაესი მიზანი შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: **„სკკპ ეკონომიკური სტრატეგიის უზენაესი მიზანი იყო და არის საზოგადოების ყველა წევრის სრული კეთილდღეობისა და ყოველმხრივი ჰარმონიული განვითარების უზრუნველყოფა".**

ვფიქრობთ, ასეთი განსაზღვრა უფრო სრულად ასახავს პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის უზენაესი მიზნის არსს და ნათელ წარმოდგენას იძლევა იმ პრობლემათა წრეზე, რომლებსაც იგი მოიცავს.

„ძირითად მიმართულებათა" პროექტში აღნიშნულია: **„მეთორმეტე ხუთწლედის მთავარი ამოცანაა გავაძლიეროთ ეკონომიკის განვითარების ტემპი და ეფექტიანობა იმ ბაზაზე, რომ დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, განვახორციელოთ წარმოების ტექნიკური განახლება და რეკონსტრუქცია, ინტენსიურად გამოვიყენოთ შექმნილი საწარმოო პოტენციალი, სრულვყოთ მართვის სისტემა, სამეურნეო მექანიზმი და ამ საფუძველზე მივაღწიოთ საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომ აღმავლობას"** (თავი III, გვ. 2, სვეტი 3, აბზაცი მეორე).

ჩვენი აზრით, აქ არ არის შეტანილი ყველა აუცილებელი კომპონენტი, მაგალითად, ისეთი საკითხები, რომლებზეც ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა თავის მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმზე განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება. ეს გახლავთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების პრაქტიკული გამოყენების დაჩქარება, პრინციპულად ახლებური ტექნოლოგიის (ელექტრონულ-სხივური, პლაზმური, იმპულსური, რადიაციული, მემბრანული და სხვ.) და უკანასკნელი თაობის ტექნიკის გამოყენებაზე გადასვლა, საწარმოო კოლექტივების აქტიურობის გაზრდა, წარმოების ეფექტიანობის გადიდება და ა. შ. ამ მომენტებისა და რიგი სხვა აუცილებელი გარემოების გათვალისწინებით მიზანშეწონილად ვთვლით ახალი ხუთწლედის მთავარი ამოცანა ასე ჩამოყალიბდეს: **„მეთორმეტე ხუთწლედის მთავარი ამოცანაა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და მისი მიღწევების ათვისების ვადების შემცირების, პრინციპულად ახლებური ტექნოლოგიისა და უკანასკნელი თაობის ტექნიკის გამოყენებაზე გადასვლის, შექმნილი საწარმოო პოტენციალის ინტენსიურად გამოყენების, მართვის სისტემისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის, საწარმოო კოლექტივების შრომითი აქტიურობის ზრდისა და წარმოების ეფექტიანობის მნიშვნელოვანი ამაღლების საფუძველზე უზრუნველვყოთ საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის მკვეთრი აღმავლობა და პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა".**

„ძირითად მიმართულებათა" პროექტის შესავალ ნაწილში (გვ. 1, სვეტი 1, აბზაცი მეორე, ზემოდან მეხუთე სტრიქონი) აღნიშნულია, რომ „სსრ კავშირს აქვს... ყოველმხრივ განვითარებული ინფრასტრუქტურა". ჩვენი აზრით, უმჯობესია ამოვიღოთ სიტყვა „ყოველმხრივ", რამდენადაც ასეთი ინფრასტრუქტურის შექმნა ჩვენი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მომავალი პერიოდისათვის.

საყრილობო დოკუმენტებში გადმოცემულია სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი და ამოცანები. ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნებოდა ასეთ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტებში, განსაკუთრებით სკკპ პროგრამის ახალ რედაქციაში (წინა პერიოდის მწარე გამოცდილების გათვალისწინებით) შემოვეფარგლულიყავით ძირითადი მიმართულებების განსაზღვრით და თავი შეგვეკავებინა დასახული ამოცანების კონკრეტული (ციფრობრივი) პარამეტრებით გამოხატვისაგან. და არა მარტო იმიტომ, რომ უაღრესად ძნელია ასეთი ხანგრძლივი პერიოდისათვის წარმოების ზრდის ქვეყანაში არსებული ყველა რეზერვის წინასწარ მაქსიმალური სიზუსტით განსაზღვრა, არამედ იმიტომაც, რომ მათი განხორციელება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იქნება საერთაშორისო მდგომარეობაზე, რომლის აბსოლუტური სიზუსტით ამოცნობა, ისიც თხუთმეტწლიანი პერიოდისათვის, არავითარ მეცნიერულ წინასწარ განჭვრეტას არ ექვემდებარება.

თუკი თხუთმეტწლეულში გადასაჭრელი ამოცანების გამომხატველი ციფრობრივი მონაცემები მაინც დარჩება „ძირითად მიმართულებებსა" და პარტიის პროგრამის ახალ რედაქციაში (თუმცა ამ უკანასკნელში ისინი ძალიან მცირე რაოდენობითაა შეტანილი), მიზანშეწონილად ვთვლით მათ შეტანას რამდენადმე განსხვავებული სახით. მაგალითად, აღნიშნულია რა, რომ თხუთმეტწლეულში ქვეყნის ეროვნული შემოსავალი უნდა გადიდდეს თითქმის 2-ჯერ, იგულისხმება ამ მაჩვენებლის ზრდა 2000 წელს 1985 წელთან შედარებით. იმის გამო, რომ ეროვნული შემოსავალი იქმნება არა მარტო მრეწველობასა და მშენებლობაში, არამედ მატერიალური წარმოების ყველა დარგში, მაშასადამე, სოფლის მეურნეობაშიც, რომელზეც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბუნებრივ-კლიმატური პირობები (ყინვა, გვალვა, სეტყვა, წყალდიდობა, ქარიშხალი და სხვ.) და ერთი წლის მონაცემი კანონზომიერებას ყოველთვის ვერ გვიჩვენებს, მიზანშეწონილად ვთვლით დავსახოთ მეთოთხმეტე ხუთწლედში ეროვნული შემოსავლის საშუალო წლიური ზრდა ან ხუთწლედში მისი საერთო მოცულობის გადიდება 1985 წლის, მეთერთმეტე ხუთწლედის საშუალო წლიურ ან მთლიანად 1981-1985 წლების შესაბამის მაჩვენებლებთან შედარებით.

თხუთმეტწლეულში გადასაწყვეტ ამოცანებს შორის დასახელებულია: „არსებითად გავაუმჯობესოთ შრომის პირობები, მივაღწიოთ ხელშრომის უფრო სწრაფ შემცირებას და დავიყვანოთ მისი წილი წარმოების სფეროში 15-20 პროცენტამდე" (თავი 11, გვ. 1, სვ. 4, აბზაცი პირველი, ზემოდან მეორე სტრიქონი).

შრომატევადი პროცესების მექანიზაციის საფუძველზე ხელის მძიმე შრომის ლიკვიდაცია არა მარტო ეკონომიკური, არამედ დიდი სოციალური პრობლემაცაა. ამიტომ ასეთი ამოცანის დასახვას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მაგრამ უმჯობესია ხელის შრომის შემცირების დავალებანი, თუ თხუთმეტწლეულისათვის არა, მომავალი ხუთწლედისათვის მაინც განვსაზღვროთ არა ზოგადად — წარმოების სფეროში საერთოდ, არამედ დარგების (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და ა. შ.) მიხედვით, სადაც საწარმოო პროცესების მექანიზაციის დონე ერთიმეორისაგან მკვეთრად განსხვავებულია.

როგორც აპრილის პლენუმზე ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ახალ ხუთწლედში ეროვნული შემოსავლისა და მატერიალური წარმოების ყველა დარგის პროდუქციის მატებას პირველად მივიღებთ მთლიანად შრომის მწარმოებლურობის ზრდის გზით. „ძირითადი მიმართულებების" პროექტით დასახულია 1986-1990 წლებში გავადიდოთ შრომის მწარმოებლურობა მთლიანად სახალხო მეურნეობაში 20-23 პროცენტით, მათ შორის, მრეწველობაში — 23-25 პროცენტით და სოფლის მეურნეობის საზოგადოებრივ სექტორში — 21-23 პროცენტით.

იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობას შრომის მწარმოებლურობის გადიდების მიმართულებით სახალხო მეურნეობის სხვა დარგებზე მეტი გამოუყენებელი რეზერვები აქვს, თანაც საჭიროა ამ მხრივ ამერიკის შეერთებული შტატებისაგან შედარებით მკვეთრი ჩამორჩენის დაძლევის დაჩქარება, მომავალ ხუთწლედში მისი ზრდის დასახული მაჩვენებელი (21-23 პროცენტი) არასაკმარისად მიგვაჩნია. საჭიროა იგი გადაისინჯოს გადიდების მიმართულებით.

ამჟამად ქვეყანაში მწვავედ დგას შრომითი რესურსების პრობლემა. შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების კოეფიციენტი უკვე მიუახლოვდა ოპტიმალურ მაქსიმუმს და ამ მხრივ რეზერვები თითქმის ამოწურულია. მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპი დაბალია და სრულებით ვერ უზამს მხარს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ტემპს. თანაც საქმე გვაქვს ომის შორეულ, ეგრეთ წოდებულ მეორე „დემოგრაფიულ ექოსთან" ოთხმოციან წლებში, საზოგადოების სამსახურში მცირე რაოდენობით დგებიან ომის დროს დაბადებულთა შვილები, ხოლო პენსიაზე მასობრივად გადიან მუშაკები, რომლებიც თავის დროზე ინტენსიურად ჩაებნენ საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ამასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია „ძირითად მიმართულებებში" კონკრეტული მონაცემების მოყვანა სახალხო მეურნეობისათვის (დარგობრივ ჭრილში) შრომითი რესურსების მიწოდებისა და საპენსიო ასაკის მიღწევის გამო დასაქმებულ მუშაკთა მოსალოდნელი მოძრაობის თაობაზე, რაც შესაძლებლობას მოგვცემს თითოეული დარგის მიხედვით საფუძვლიანად გავაანალიზოთ ვითარება, გავერკვეთ სიტუაციაში, გამოვიტანოთ შესაბამისი დასკვნები და დროულად მივიღოთ ქმედითი ზომები გარდაუვალ სიძნელეთა დასაძლევად.

მეთორმეტე ხუთწლედის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაა ეკონომიკური განვითარების სოციალური ორიენტაციის გაძლიერება, მისი მიმართვა პიროვნების ჰარმონიული განვითარებისათვის საუკეთესო პირობების შესაქმნელად, სოციალისტური ცხოვრების წესის დასამკვიდრებლად. საკმარისია ითქვას, რომ ახალ ხუთწლედში ქვეყნის მასშტაბით რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით უნდა გადიდდეს 13-15 პროცენტით. მაგრამ ამასთან, როგორც სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში მართებულადაა მითითებული, სოციალიზმის სრულყოფის ეტაპზე პარტიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი სოციალური განსხვავების დაძლევა.

ვფიქრობთ, ამ ამოცანის გადაწყვეტას სრულად ვერ უპასუხებს ახალ ხუთწლედში კოლმეურნეთა საშუალო თვიური ხელფასის გადიდების დასახული მაჩვენებელი (18-20 პროცენტი). ასეთი დასკვნის საფუძველს გვაძლევს შემდეგი გარემოება. მართალია, 1986-1990 წლებში მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასის ზრდას (13-15 პროცენტი) კოლმეურნეთა საშუალო თვიური ხელფასის გადიდება 5 პროცენტული პუნქტით გაუსწრებს, მაგრამ ამის შედეგად მათ საშუალო თვიური ხელფასის აბსოლუტურ სიდიდეებს შორის სხვაობა (40 მან.) მხოლოდ უმნიშვნელოდ (1,5 მანეთით) შეიცვლება. იგი საგრძნობლად შეიძლება შეიცვალოს, ე. ი. ერთიმეორეს მიუახლოვდეს და გათანაბრდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ამ კატეგორიის მუშაკთა ხელფასის გადიდების მაჩვენებლებს შორის სხვაობა უფრო მკვეთრი (5 პუნქტზე მეტი) იქნება: აღსანიშნავია, რომ მიმდინარე ხუთწლედში ეს სხვაობა 16 პროცენტულ პუნქტს შეადგენს, რამდენადაც მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი გაიზარდა 13 პროცენტით, ხოლო კოლმეურნეთა — 29 პროცენტით. აი, რატომ ვთვლით მიზანშეწონილად, მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის ზრდასთან შედარებით, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების უპირატესი ტემპით (ვიდრე „ძირითადი მიმართულებების" პროექტით არის დასახული) გადიდების აუცილებლობას. ცხადია, იგულისხმება შრომის ანაზღაურების ისეთი ზრდა, რომელიც დაკავშირებული იქნება სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდასთან, მისი ხარისხის გაუმჯობესებასთან და წარმოების ეფექტიანობის გადიდებასთან.

„ძირითადი მიმართულებების" პროექტში ვკითხულობთ: „...უფრო მჭიდროდ დავუკავშიროთ მუშაკთა გასამრჯელოს ოდენობა მათს შრომით წვლილს" (თავი X, გვ. 6, სვ. 3, აბზაცი მესამე, ზემოდან მეოთხე სტრიქონი).

ეს დებულება ძირითადად სწორია, მაგრამ მასში ჩაქსოვილი შინაარსი მაინც საჭიროებს დაზუსტებას. როგორც ცნობილია, შრომითი წვლილი, ჩვეულებრივ, ფაქტობრივად ნამუშევარი დროით განისაზღვრება, ხოლო ყოველ სამუშაო საათში მუშაკები განსხვავებული მოცულობის, ასორტიმენტისა და ხარისხის პროდუქციას ქმნიან. ამიტომ, მიზანშეწონილია ანაზღაურება ვაწარმოოთ არა უშუალოდ შრომის, არამედ მისი რეალური შედეგის მიხედვით. ამ მომენტის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ზემოთმოყვანილი დებულება ასე ჩამოყალიბდეს: „...უფრო მჭიდროდ დავუკავშიროთ მუშაკთა გასამრჯელოს ოდენობა მათს რეალურ წვლილს შრომის საბოლოო შედეგებში" — შემდეგ როგორც ტექსტშია.

ცოტა დრო გვაშორებს სკკპ XXVII ყრილობას, რომელზეც პარტიის პროგრამის ახალ რედაქციასთან და წესდების სრულყოფილ ტექსტთან ერთად მიღებული იქნება შევსებული, დაზუსტებული და ყოველმხრივ დახვეწილი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი. მათი რეალიზაცია დამოკიდებული იქნება მრავალ ფაქტორზე და, უწინარეს ყოვლისა, საქმისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერებაზე.

ლეო ჩიქავა,

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში.

თამამი ძიება

ყველაფერი ძვირფასია და ბოლომდე საინტერესო, რაშიც კი შენი ქვეყნის, შენი პარტიის დემოკრატიული ბუნება გამოსჭვივის. ასეა სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის ოქტომბრის პლენუმმა მოიწონა და საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდა.

პროგრამის ახალ პროექტში ძველი, რევოლუციური ბუნების ჭეშმარიტებაზე დამყნილია ახალი გზა, ნოვატორული გზა, რაც დატვირთულია ახალი ამოცანებით, ახალი აღმოჩენების სურვილით.

ყველაფერთან ერთად ხაზგასმით ნათქვამია პროგრამის ახალ პროექტში: „პარტია ყოველნაირად შეუწყობს ხელს ლიტერატურისა და ხელოვნების როლის გაზრდას, ისინი ხალხის ინტერესებს, კომუნიზმის საქმეს უნდა ემსახურებოდნენ, მილიონობით ადამიანის სიხარულისა და შთაგონების წყაროს წარმოადგენდნენ, მათს ნებას, გრძნობებსა და აზრებს გამოხატავდნენ. აქტიურად უწყობდნენ ხელს მათს იდეურ გამდიდრებასა და ზნეობრივ აღზრდას".

უფრო კარგი რა შეიძლება გვითხრან, როცა „თამამ ძიებაზე და ნოვატორობაზეა" საუბარი? უფრო კარგი რა შეიძლება გვითხრან, როცა ფორმისა და სტილის განვითარებაზეა საუბარი? ხოლო სადაც საუბარია კრიტიკის მიმართულებაზე, იქაც ადამიანთა დემოკრატიული ბუნებაა წინა პლანზე წამოწეული.

დღევანდელი ქართული მწერლობა, მოგეხსენებათ, მსოფლიოს ლიტერატურის ნიმუშების დონეზე განიხილება, ხოლო მისი ავტორიტეტი ჩვენი საზღვრების მიღმაც აღიარებულია...

ქართველი მწერლები ყოველთვის მხარში ედგნენ თავის ხალხს, თავის სახელმწიფოს, ასე იქნება მომავალშიც...

ქართველ მწერლებს ღრმად სჯერათ პროგრამაში ნათქვამი შესანიშნავი სიტყვებისა, რომ „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია სათუთად, პატივისცემით ეკიდება ნიჭს, მხატვრულ ძიებას!"

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, უკეთ მუშაობისათვის განაწყობს ქართველ მწერლებს.

ჯანსუღ ჩარკვიანი,

რუსთაველის პრემიის ლაურეატი, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი.

ხუთწლედის საირიგაციო მშენებლობებზე

ტბისი-კუმისის არხი ალგეთიდან იწყება

სოფელ ტბისთან ალგეთის ხეობა ამ სამი წლის წინათ გადაიხიდა, აშენდა რესპუბლიკაში ერთ-ერთი დიდი და მაღალი კაშხალი. მისი სიმაღლე 87 მეტრია, წყლის სიღრმე —47 მეტრი. აქ 65 მილიონი კუბური მეტრი ალგეთის წყალი დაგუბდება. აქედან 60 მილიონი კუბური მეტრი სარწყავად გამოიყენება. იგი მაგისტრალური არხით გორაკების თავზე გადის, ბევრ სოფელს გაივლის და კუმისში ჩავა. ამიტომაც უწოდეს ამ სარწყავ სისტემას ტბის-კუმისის არხი. სულ წელიწადში 170 მილიონამდე კუბური მეტრი წყალი ჩაედინება წყალსაცავში.

მშენებლობა, რომელიც მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს დაიწყო, გარდამავალია და მეთორმეტე ხუთწლედში დამთავრდება. მშენებლობაზე 45 მილიონი მანეთი დაიხარჯება.

როგორ მიმდინარეობს არხის მშენებლობა, სრულდება თუ არა წლევანდელი გეგმები?

მშენებლობის გეგმები სრულდება. უკვე შესრულებულია 17,5 მილიონი მანეთის სამუშაო. ეს ციფრი ადრინდელია, ამას უნდა მიემატოს 1 მილიონი მანეთის სამუშაო, რაც წლის ბოლომდე შესრულდება. მეთორმეტე ხუთწლედის დამდეგამდე სულ 18,5 მილიონი მანეთის სამუშაო შესრულდება, დანარჩენი მეთორმეტე ხუთწლედში დაიხარჯება. წლევანდელი საგეგმო დავალება გადაჭარბებულია.

— პროექტის ავტორები არიან ვასილ ლეონიძე (მთავარი ინჟინერი, რომელმაც სხვებთან ერთად დააპროექტა ქვემო სამგორისა და ზემო ალაზნის სარწყავი სისტემები), ლერი გველესიანი, ნოდარ ტაბატაძე, თამარ ბიბილაშვილი, ნათელა ჯანგიძე,— ამბობს „წყალმშენის" ტრესტის მეხუთე სამმართველოს უფროსი რ. ბოკერია.

ინჟინერი რევაზ ბოკერია საქართველოს სხვადასხვა სარწყავი არხის მშენებლობაზე ჩამოყალიბდა როგორც უნარიანი ორგანიზატორ-მშენებელი. და როცა საქმემ მოითხოვა, არაშავმიწანიადაგიან ზონაში წავიდა სამუშაოდ. ვოლოგდის ოლქში თითქმის ხუთ წელიწადს მუშაობდა; მის ცხოვრებაში აქ დიდმნიშვნელოვანი ის იყო, რომ ვოლოგდის ოლქის მდინარე იაგორბაზე აგო დიდი კაშხალი. მასთან ერთად იყო ზურაბ მერკვილაძე.

...და აი, გამოცდილი ინჟინერ-ირიგატორები რევაზ ბოკერია და ზურაბ მერკვილაძე ისევ საქართველოში დაბრუნდნენ. „საქმთავარწყალმშენის" ხელმძღვანელებმა დიდი და საპატიო საქმე მიანდეს. ბოკერია უკვე მეორე წელია ხელმძღვანელობს წყალმშენის ტრესტის მეხუთე სამმართველოს. მისი მოადგილეები კი ზურაბ მერკვილაძე და მიხეილ წამალაშვილი არიან. ისინი ტბის-კუმისის სარწყავ სისტემას აშენებენ.

რევაზი და ზურაბი როცა მშენებლობაზე მოვიდნენ, მდინარე ალგეთზე წყალსაცავის მშენებლობა უკვე დამთავრებული იყო, მაგრამ ნელი ტემპით მიდიოდა მაგისტრალური არხის მშენებლობა, რომელიც სოფელ ტბისთან იწყება, გადაივლის ფარცხისის, ბოგვის, ჯორჯიაშვილის, ასურეთის, ბორბალოს, კოდის მთის ფერდობებს და კუმისამდე ჩავა. ალგეთის წყლით მოირწყვება ამ სოფლების წყალს მონატრებული მინდვრები, ბოსტნები და ბაღ-ვენახები. წლის გარკვეულ დროს, როცა მდინარე ალგეთი წყალუხვი იქნება, მაგისტრალური არხიდან წყალი კუმისის ტბაშიც ჩავა. მშენებლობა მეთერთმეტე ხუთწლედში დაიწყო და მეთორმეტე ხუთწლედში, 1988 წელს დამთავრდება. ასეა გათვალისწინებული ძირითად მიმართულებათა პროექტით.

მკითხველს აინტერესებს რას წარმოადგენს ტბის-კუმისის სარწყავი სისტემა, როგორ მიმდინარეობს მშენებლობა და რა სარგებლობას მოუტანს საზოგადოებრივ მეურნეობებს?—შევეკითხეთ სამმართველოს უფროსს რევაზ ბოკერიას.

— როგორც ნახეთ, — ამბობს რევაზი, — ტბის-კუმისის სარწყავი სისტემა თავისებური ნაგებობა იქნება. თავისებურს იმიტომ ვამბობთ, რომ აქ სამუშაოები მეტად რთულ რელიეფურ პირობებში მიმდინარეობს. ამასთან სხვა არხებისგან განსხვავებით მაგისტრალური არხიდან წყალი სარწყავ ფართობებს თვითდინებით, ესე იგი მიშვებით კი არ მორწყავს, არამედ სულ სხვა წესით. ეს წესი კი ის გახლავთ, რომ სარწყავი წყალი მიწისქვეშა მილებით მივა მინდვრად და „და-2", „როსა-3", „შლეიფის" ტიპის სპეციალური მოწყობილობით დაწვიმებ ი თ მოირწყვება. ეს კი მეტად შრომატევადი სამუშაოა და, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ არხით 14.500 ჰექტარი უნდა მოირწყას, ადვილი წარმოსადგენია, რა დიდი სამუშაოების შესრულებაა გათვალისწინებული.

წელიწადში 150 კილომეტრი ტრანშეა ითხრება და შიგ 10.000 ტონა ლითონის მილებს ადუღებენ შემდუღებლები და აწყობენ მიწაში.

რთული ნაგებობაა იმ მხრივაც, რომ წყალსაცავიდან გამოსული მაგისტრალური არხიდან წამოსული ალგეთის წყალი სოფელ შავსაყდართან ორად იყოფა...

რამდენ წყალს ატარებს წამში მაგისტრალური არხი? — ვეკითხებით მშენებლობის სამმართველოს უფროსს.

— 10 კუბურ მეტრს.

— უკვე ატარებს?

— რა თქმა უნდა. ალგეთის წყალი მაგისტრალური არხით ასურეთამდე უკვე მისულია და ფარცხისის, ბოგვის, ჯორჯიაშვილისა და სხვა სოფლების მიწები გასარწყავებულია. 2.100 ჰექტარი ირწყვება.

სოფელ შავსაყდართან არის წყალგამყოფი...

— ეს როგორ გავიგოთ?

— წყალგამყოფი იმისათვის დაგვჭირდა, რომ აქედან ნაწილი წყალი მაგისტრალური არხით კუმისის მიმართულებით იდინებს (წამში 6 კუბური მეტრი), ნაწილი კი (3 კუბური მეტრი) დიუკერის საშუალებით მდინარე ალგეთის ხეობას გადაივლის, სატუმბავი დანადგარით წყალი დურნუკსა და წინწყაროში ავა. ამ წყლით გარდა ამ სოფლებისა მოირწყვება თეთრი წყაროსა და სამშვილდის მეურნეობათა მიწები. სატუმბავი სადგური მოქმედებს და 1.500 ჰექტარი უკვე ირწყვება. წელს 2.000 ჰექტარი მიწები მზად იქნება სარწყავად, გაისად კი სულ 3.500 ჰექტარი მიწები მოირწყვება.

ბოლოს ტრადიციული კითხვა სამმართველოს უფროსს: ამ დიდ საირიგაციო მშენებლობაზე ბევრი მოწინავე იქნება. ვინ არიან ისინი. იქნებ ზოგიერთი მაინც დაგვისახელოთ.

— თითქმის ყველა მოწინავეა; თუ არა მათი ენთუზიაზმი, ამ დიდ სამუშაოს ვინ შეასრულებს, მაგრამ ვიცი, გაზეთისათვის საჭიროა ზოგიერთი დავასახელოთ. დანარჩენები, ვფიქრობთ, არ გვიწყენენ. ყველაზე უფრო დაწინაურდნენ მეორე და მესამე სამშენებლო უბნები, რომელთა უფროსები არიან ვაჟა ნადარეიშვილი და ანზორ ზაქარაია. უნდა დავასახელოთ შემდუღებლები ნაუმ გოგობერიშვილი, ზაურ კაციტაძე, სერგი გორშკოვი, მექსკავატორეები გოგი ცხვარიაშვილი და სოსო წიკლაური. ბევრი არიან, ყველას ვერ ჩამოვთვლით.

მართლაც, არ შეიძლება ამ სამმართველოში ზარმაცმა კაცმა იბოგინოს, რადგან შრომის ანაზღაურება და სამუშაო პირობები ერთობ ხელსაყრელია, არც კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებია ურიგო. ასე რომ, ტბის-კუმისის სარწყავი სისტემა—მეთორმეტე ხუთწლედის ერთ-ერთი მეტად საჭირო და საინტერესო ნაგებობა —შენდება. როცა არხი მთლიანად ამოქმედდება, თეთრი წყაროს რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობათა ეკონომიკა გაძლიერდება და ბუნებაც გარდაიქმნება.

ზ. გოზალიშვილი.

სურათებზე: ტბის-კუმისის მაგისტრალური არხის მოსაპირკეთებელ სამუშაოებს ამოწმებენ უბნის უფროსი დ. ჯანელიძე, ბრიგადირი ვ. ზურნაჩიანი და სამმართველოს უფროსის მოადგილე ლ. ალიხანოვი; არხის წყალსაცავი — სათავე ნაგებობა.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტოები.

კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

„კომუნისტს" უპასუხებენ

ჩვენს გაზეთში სხვადასხვა დროს დაიბეჭდა სარეიდო მასალები, რომლებიც საკოლმეურნეო ბაზრებში არსებულ ნაკლოვანებებს ეხებოდა. ამის გამო რედაქციამ რამდენიმე პასუხი მიიღო, რომლებშიც გვწერენ:

პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტი

ტყიბულის საკოლმეურნეო ბაზრის შესახებ გამოქვეყნებულ წერილში „ვინ უნდა იდგეს დახლთან" მოყვანილი ფაქტები სწორედ ასახავს მდგომარეობას. საკოლმეურნეო ბაზრებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზაციის ახალი წესების შემოღებასთან დაკავშირებით თავდაპირველად იყო უნიფიცირებითი ცნობების არასწორად შევსების შემთხვევები, სხვა ნაკლოვანებები და დარღვევები. მიღებული ზომების შედეგად მდგომარეობა გამოსწორდა, ამას ახლა მკაცრ კონტროლს უწევენ, რათა აღმოიფხვრას მცდარად შევსებული ცნობების გაცემის შემთხვევები და მოქალაქეებს არ მიეცეთ ვაჭრობის ნებართვა პირადობის დამადასტურებელი საბუთების გარეშე.

ამასთან დაკავშირებით აგროსამრეწველო გაერთიანების ხელმძღვანელობამ მოაწყო კოლმეურნეობების გამგეობებისა და საუბნო კომიტეტის ხელმძღვანელთა საინსტრუქტაჟო თათბირი. კოლმეურნეობებში ცნობების გაცემის საქმე დავალებული აქვთ სპეციალურად გამოყოფილ თანამდებობის პირებს.

ახლა ტყიბულის ზონის სოფლებიდან თითქმის აღარ არის მცდარად შევსებული ცნობების წარმოდგენის ფაქტები. შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილებას დაევალა მკაცრი კონტროლი დაუწესოს საკოლმეურნეო ბაზარში ვაჭრობის წესების დაცვას. ამ მიზნით ყოველდღიურად ბაზარზე მიმაგრებულია შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების პასუხისმგებელი მუშაკი.

რაც შეეხება საკოლმეურნეო ბაზრის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებს, იგი უკვე დაწყებულია. გათვალისწინებულია 1986 წელს აშენდეს გლეხთა დასასვენებელი სახლი, რომლის საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ გაფართოვდება ბაზრის ტერიტორია და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება მომსახურება. გლეხთა სახლის აშენების შემდეგ შესაძლებელი გახდება სავაჭრო მომსახურების ბიუროს გახსნა, რაშიც სათანადო დახმარებას მოველით ბაზრების რესპუბლიკური სამმართველოდან.

საკოლმეურნეო ბაზრების რესპუბლიკური სამმართველო

გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებულ მასალაში „ბაზარი გზაჯვარედინზე" მოყვანილი ფაქტები სრული სიმართლეა. ჩვენ დავაყენეთ საკითხი რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წინაშე ზესტაფონის ახალი დახურული საკოლმეურნეო ბაზრის მშენებლობისათვის კაპიტალური დაბანდების ლიმიტის გამოყოფის შესახებ იმ ვარაუდით, რომ მშენებლობა 1986 წლის დამლევისათვის დამთავრდეს. ზესტაფონის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომთან ერთობლივი ღონისძიებებით 1985 წელს საკოლმეურნეო ბაზრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით მთლიანად შეიცვალა მოძველებული, დეფორმირებული პავილიონები. მიმდინარეობს ეზოს ტერიტორიის მოასფალტება, რომლის დამთავრება გათვალისწინებულია მიმდინარე წლის მიწურულისათვის.

რესპუბლიკის ყველა საკოლმეურნეო ბაზარი და მათ შორის ზესტაფონისა და თერჯოლის საკოლმეურნეო ბაზრები მომარაგდა საკმაო რაოდენობის სპეცტანსაცმლით, საზომ-საწონი ხელსაწყოებით, სოფლის მეურნეობის პროდუქტების ნარჩენების შესაგროვებელი ურნებით, სატვირთო ურიკებით, სკამებით და ა. შ. ზესტაფონის საკოლმეურნეო ბაზარში აშენებულია და უახლოეს პერიოდში გაიხსნება ხილბოსტანვაჭრობის ახალი მაღაზია. ამასთან ბაზარში სამაცივრო დანადგარების დამონტაჟება მოხდება დახურული საკოლმეურნეო ბაზრის მშენებლობის დამთავრების პროცესში.

გაზეთი სრულიად სამართლიანად აღნიშნავს, რომ საკოლმეურნეო ბაზრების გვერდით არის უნებართვო ვაჭრობის ფაქტები. სამწუხაროდ, ასეთი „ბაზრობები" არა მარტო ზესტაფონისა და თერჯოლის, არამედ რესპუბლიკის უმრავლესი საკოლმეურნეო ბაზრების ახლოს არის ხოლმე. ამიტომ ზემდგომმა ორგანოებმა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს დაავალეს მიიღონ საჭირო ზომები საკოლმეურნეო ბაზრების გარშემო ტერიტორიაზე, ტრასებზე და ქუჩებში უნებართვო ვაჭრობის აღსაკვეთად. „კომუნისტში" წერილის გამოქვეყნების მეორე დღესვე ჩვენ მივმართეთ ზესტაფონისა და თერჯოლის რაისაბჭოს აღმასკომებს, რათა მიიღონ დამატებითი ზომები უნებართვო ვაჭრობის აღსაკვეთად.

* * *

გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებულ სტატიაში „მწვანე ბაზრის საიდუმლოებანი" მოყვანილი ფაქტები მთლიანად და ზუსტად ასახავს ქუთაისის საკოლმეურნეო ბაზრის დღევანდელ ვითარებას.

ადგილობრივი ორგანოებისა და ჩვენს მიერ მიღებული ზომების შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საკოლმეურნეო ბაზრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ, კეთილმოეწყო საკოლმეურნეო ბაზრის ფილიალი ავტოქარხნის დასახლებაში, მიმდინარეობს მეორე ფილიალის მთლიანი რეკონსტრუქცია საფიჩხიაზე. ცენტრალურ საკოლმეურნეო ბაზარში და ნინოშვილის ქუჩის ფილიალში კაპიტალურად შეკეთდა ორმხრივად დახურული სავაჭრო პავილიონები, შეიცვალა ელექტროგაყვანილობა, შეკეთდა წყალსადენ-კანალიზაციის ქსელი და სხვა. 1987 წლისათვის ქალაქის საბჭოს აღმასკომის მოთხოვნის შესაბამისად ვითვალისწინებთ არსებული ცენტრალური საკოლმეურნეო ბაზრის ნაწილობრივ რეკონსტრუქციას.

ახლა ქუთაისის საკოლმეურნეო ბაზარი მთლიანად უზრუნველყავით სპეცტანსაცმლით, სასტუმროსათვის თეთრეულით, სავაჭრო ინვენტარით, ნაგავსაზიდი ურიკებით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნარჩენების შესაგროვებელი ურნებით, სკამებით, საზომ-საწონი ხელსაწყოებით და სხვა.

ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტერიტორიული დარგთაშორისი გაერთიანება

გაზეთ „კომუნისტში" წერილის „მწვანე ბაზრობის საიდუმლოებანი" გამოქვეყნების შემდეგ კვლავ შემოწმდა ქალაქის საკოლმეურნეო ბაზრებში არსებული მდგომარეობა. შემოწმებით დადგინდა, რომ ცენტრალურ და ნინოშვილის ქუჩაზე მდებარე საკოლმეურნეო ბაზრებში კვლავაც არის ვაჭრობის წესების დარღვევები, უნიფიცირებული ცნობების და ლაბორატიული შემოწმების გარეშე სასოფლო-სამეურნეო საქონლის ვაჭრობის შემთხვევები. გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით საკოლმეურნეო ბაზრების გაერთიანებაში სამუშაო ჯგუფმა მოაწყო გაფართოებული თათბირი, რომელზეც მკაცრი შეფასება მიეცა გამოვლენილ ფაქტებს, ამასთან ეთხოვათ საკოლმეურნეო ბაზრების, შინაგან საქმეთა სამმართველოს საპატრულო-საგუშაგო სამსახურის, შინაგან საქმეთა ლენინის რაიგანყოფილების, სანეპიდსადგურის და სახალხო დეპუტატთა ლენინის რაიაღმასკომის ხელმძღვანელ მუშაკებს, გააძლიერონ კონტროლი დარღვევებისა და ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

სამუშაო ჯგუფი მომავალშიც სისტემატურად მოაწყობს რეიდებს ვაჭრობის წესების დარღვევების სალიკვიდაციოდ. შედეგები ყოველი თვის ბოლოს მოხსენდება საქალაქო საბჭოს აღმასკომს და საჭიროების შემთხვევაში მომზადდება მასალები საქალაქო საბჭოს აღმასკომის სხდომაზე განსახილველად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დანიშნა ამხ. მიხეილ ივანეს ძე **შჩადოვი** სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრად.

• • •

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გაათავისუფლა ამხ. ბორის თევდორეს ძე **ბრატჩენკო** სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

• • •

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. ალექსანდრე ივანეს ძე **ივლიევი** დანიშნა სსრ კავშირის მინისტრად.

გამოიცა სესიის დოკუმენტები

გამოიცა ბროშურა, რომელშიც გამოქვეყნებულია სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიაზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ნ. ვ. ტალიზინის მოხსენება „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986 წლის სახელმწიფო გეგმისა და 1985 წლის გეგმის შესრულების შესახებ" და მისი საბოლოო სიტყვა. ბროშურაში დაბეჭდილია აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1985 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

გამოიცა აგრეთვე ბროშურა, რომელშიც დაბეჭდილია სესიაზე სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილის ვ. ვ. დემენცევის მოხსენება „სსრ კავშირის 1986 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და სსრ კავშირის 1984 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ" და საბოლოო სიტყვა. ბროშურაში შეტანილია აგრეთვე საბჭოთა, სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი სსრ კავშირის 1986 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება სსრ კავშირის 1984 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

დეპუტატი და ცხოვრება

კეთილი საქმის მოთავე

იგი მანამდეც მუშაობდა კოლმეურნეობაში. დაპიროვნებული ორი ჰექტარი ვენახი კარგად ჰქონდა მოვლილი და შენახული. სხვაზე ნაკლებ მოსავალს არ იწევდა. შარშან და შარშანწინ ამისათვის პრემიის სახით დამატებითი ანაზღაურება მისცეს, სოფლის საბჭოს დეპუტატად აირჩიეს...

მაგრამ, როცა სოფლის ახალგაზრდა დიასახლისებისგან, ახალგაზრდა დედებისაგან სპეციალური ბრიგადის, საიჯარო ბრიგადის შექმნის საკითხი დადგა, ამ საქმის პირველი მოთავე და მონაწილე სწორედ ეს ახალგაზრდა დეპუტატი — ჯენეტი გომიაშვილი გახდა. ორმოცი ჰექტარი ვენახი გაიპიროვნა ახალგაზრდულმა კოლექტივმა, ისე დაამუშავა ეს ფართობი, ისე მოუარა ვაზს, რომ ახლა თითით საჩვენებელთა კოლმეურნეობაში.

მოსავალზე შევეკითხეთ ბრიგადის ერთ-ერთ წევრს მარინე ჯორკოშვილს, არ გვითხრა, დაცდა იცისო, ისე კი ჩაილაპარაკა — სხვაზე ნაკლებს არ მივიღებთო.

უზეირ ჰაჯიბეკოვის დაბადების 100 წლისთავის გამო

უზეირ ჰაჯიბეკოვის მუსიკის დიდი დღესასწაული ეწვია საქართველოს. აზერბაიჯანული მუსიკალური კულტურის კლასიკოსის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი კიდევ ერთხელ მოწმობს ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ხალხთა მოძმე კულტურების თანამეგობრობას. მუსიკოსის შემოქმედება, რომელიც გამოხატავს თავისუფლებისმოყვარეობასა და პატრიოტიზმს, ჰუმანურობასა და კეთილშობილებას, უმღერის სუ-

მისი ნიჭის ჩაუქრობელი ლამპარი

მეცნიერება — წარმოებას

ახალი მეთოდით

ყველასათვის საჭირო მანქანები

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

16 დეკემბერი ● საქდესი იუწყება

ვაშინგტონელ ემისართა ზეგავლენით

ფაქტის კომენტარი

სწორედ დაძაბულობის შენელებისაკენ ასეთი შემობრუნებისათვის იღვწის საბჭოთა კავშირი, რასაც იგი კონკრეტული საქმეებით ადასტურებს.

სოციალისტურ ქვეყნებში

უნგრეთი

მედიკოსთა თანამშრომლობა

ბუდაპეშტი. ბუდაპეშტში ხელმოწერილი საბჭოთა და უნგრელი მედიკოსების თანამშრომლობის ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს ურთიერთმოქმედებას მედიცინის პრაქტიკულად ყველა დარგში.

ორი ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა და სამედიცინო-კვლევითი ცენტრების მუშაკების საქმიანი კონტაქტები აი უკვე ოცდაათი წელია წარმატებით ვითარდება. მარტო მიმდინარე ხუთწლედის მანძილზე საბჭოთა და უნგრელმა მედიკოსებმა დანერგეს დაახლოებით 100 ახალი, ერთობლივად შემუშავებული დიაგნოსტიკური მეთოდი, 18 პროგრესული სასწავლო მეთოდიკა. ორი ქვეყნის მკვლევრებმა მჭიდრო ურთიერთობით გამოსაცემად მოამზადეს და გამოუშვეს 5 უნიკალური მეცნიერული ნაშრომი, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ თანამედროვე მეცნიერების განვითარებისათვის. მომავალი ხუთწლედის მანძილზე საბჭოთა კავშირ-უნგრეთის თანამშრომლობა ჯანმრთელობის დაცვისა და მედიცინის დარგში კიდევ უფრო განვითარდება.

გდრ

გემი—საბჭოთა შემკვეთებს

ბერლინი. მორიგი სატრანსპორტო-სამაცივრო გემი გადასცეს საბჭოთა შემკვეთებს ვისმარის მატიას ტეზენის სახელობის გემთსაშენის მშრომელებმა. ამით გემთმშენებლებმა, რომლებმაც მნიშვნელოვნად გაუსწრეს სამუშაოთა გრაფიკს, შეასრულეს ხუთწლედის დამამთავრებელი წლის საწარმოო პროგრამა.

ახალი გემი, რომელსაც ჰერმან მატერნის სახელი მიენიჭა, შეავსებს შორეული აღმოსავლეთის საზღვაო სანაოსნოს თევზსაჭერ ფლოტილიას. მას ერთ რეისში შეუძლია გადაზიდოს თითქმის 7,5 ათასი ტონა გაყინული თევზი.

● პორტუგალია

მნიშვნელოვანი გამარჯვება

ლისაბონი. პორტუგალიაში გაიმართა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნები. არასრული ოფიციალური მონაცემებით, მემარცხენე ძალების კოალიციის — ხალხის ერთიანობისათვის კავშირის კანდიდატებმა, რომელსაც პორტუგალიის კომპარტია მეთაურობს, ხმების თითქმის 19 პროცენტი მოაგროვეს და 45 მუნიციპალურ პალატაში ადგილების უმრავლესობა მიიღეს.

ეს მნიშვნელოვანი გამარჯვებაა, რომლის თავიდან აცილებასაც ყოველნაირად ცდილობდნენ მემარჯვენე პარტიები ქვეყნის ბევრ რაიონში დროებითი ბლოკების შეკოწიწების გზით.

ფოტოფაქტი

● სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა

ანტირასისტული ტალღა ძლიერდება

მაპუტუ. ოთხი აფრიკელი მოკლეს და ბევრი დაშავდა დურბანის გარეუბანში პოლიციისა და არმიის ქვეგანაყოფების დამსჯელი აქციების შედეგად.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან მიღებული ცნობებით, პრეტორიის ხელისუფლებმა დიდი მასშტაბის ოპერაციები წამოიწყეს ექსპლოატაციისა და აპარტეიდის სისტემის მოწინააღმდეგეთა ახალი გამოსვლების ჩასახშობად. ათასობით შეიარაღებული პოლიციელი და ჯარისკაცი გამოიყვანეს 15 დეკემბერს მასობრივი მანიფესტაციის დასარბევად, რომელიც გაერთიანებული დემოკრატიული ფრონტის მოწოდებით გაიმართა. სამშვიდობო დემონსტრაციის მონაწილეებმა — სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის დემოკრატიული და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა — მოითხოვეს სამხრეთ აფრიკის განმათავისუფლებელი მოძრაობის ცნობილი ლიდერის ნელსონ მანდელას დაუყოვნებლივ განთავისუფლება, რომელიც საპყრობილეში იტანჯება. რასისტ ხელისუფალთა მკაცრი რეპრესიების მიუხედავად ნელსონ მანდელას განთავისუფლებისათვის მარში გრძელდება.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: სამხრეთ აფრიკის აფრიკული ეროვნული კონგრესის ლიდერის ნელსონ მანდელას მეუღლე ანტირასისტულ სიტყვას ამბობს ბრენდფორტში სამხრეთაფრიკულ საპატიმროში დაღუპული ცხრამეტი წლის აფრიკელის დაკრძალვისას.

აპ-საქდესის ფოტო

◆ რუმინეთი

ჯ. შულცის ვიზიტი

ბუქარესტი. ბუქარესტიდან გაემგზავრა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯორჯ შულცი, რომელიც ვიზიტად იმყოფებოდა რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკაში. იგი მიიღო რესპუბლიკის პრეზიდენტმა ნ. ჩაუშესკუმ.

მხარეებმა განიხილეს რუმინეთ-ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის ცალკეული ასპექტები, აზრი გაუზიარეს ერთმანეთს საერთაშორისო ცხოვრების ზოგიერთ საკითხზე. დღეს შულცი ოფიციალურ ვიზიტად ბუდაპეშტში ჩავიდა.

ამ მოგზაურობის წინ მთელ რიგ გამოსვლებში სახელმწიფო მდივანი აკეთებდა განცხადებებს სოციალისტური ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევის სულისკვეთებით. კერძოდ, მან განაცხადა, შეერთებულ შტატებს სურს „ხელი შეუწყოს უფრო გულღია ატმოსფეროს შექმნას საბჭოთა კავშირის მეზობელ სახელმწიფოებში“. სოციალისტური ქვეყნების მიმართ ამერიკის პოლიტიკის არსი, როგორც შულცის გამონათქვამები მოწმობს, ის არის, რომ გამოძებნოს და დანერგოს შეერთებული შტატების თვალსაზრისით „პოზიტიური“ ტენდენციები. ეს განცხადება ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ შეერთებული შტატების ადმინისტრაცია სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების დასუსტებაზე, მათ გათიშვაზე, საბჭოთა კავშირთან ამ ქვეყნების თანამშრომლობისათვის ძირის გამოთხრაზე ამყარებს იმედს.

ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების მოწინააღმდეგეებს უნდა ახსოვდეთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელ პირთა ყოველგვარი ცდა — ძირი გამოუთხარონ ამ ქვეყნების ერთიანობას — განწირულია.

● საფრანგეთი

მთავრობა წინააღმდეგია

პარიზი. საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა მიტერანმა კვლავ დაადასტურა, რომ საფრანგეთის მთავრობა მონაწილეობას არ მიიღებს ამერიკის ადმინისტრაციის მიერ წამოყენებულ კოსმოსური იარაღის შექმნის პროგრამაში.

საფრანგეთის „ტფ“-1“ ტელეკომპანიის გადაცემაში გამოსვლისას, პრეზიდენტმა, კერძოდ, აღნიშნა, რომ ამ პროგრამის დასახვით შეერთებულმა შტატებმა ფაქტობრივად საფრანგეთს შესთავაზა მონაწილეობა მიიღოს მასში როგორც ქვემოიჯარემ. ფრანსუა მიტერანმა შემდეგ თქვა, რომ იგი ილაშქრებს ისეთ სამხედრო კოსმოსურ პროგრამაში საფრანგეთის ჩაბმის წინააღმდეგ, რომელიც მხოლოდ გაამწვავებს საერთაშორისო დაძაბულობას. პრეზიდენტმა ამასთან დაკავშირებით გამოთქვა აგრეთვე აზრი, რომ ამერიკის პროგრამაში მონაწილეობის შედეგად საფრანგეთი შეიძლება ამერიკის შეერთებული შტატების დაქვემდებარებაში აღმოჩნდეს.

◆ ისრაელი

გარბიან „სიონისტურ სამოთხიდან“

დამასკო. წლითიწლობით იზრდება იმ ისრაელთა რიცხვი, რომლებიც ტოვებენ „აღთქმულ მიწაზე სიონისტურ სამოთხეს“. თელ-ავივის ოფიციალური აღიარებითაც კი, 1984 წელს ქვეყანა დატოვა 17 ათასზე მეტმა კაცმა. წელს კი ეს ციფრი უკვე 30 ათასს მიაღწევს. ისრაელთა მასობრივი გაქცევის ძირითადი მიზეზია მშრომელთა მეტად მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა და ის, რომ მოსახლეობა სულ უფრო მეტად გამოთქვამს უკმაყოფილებას მმართველი სიონისტური ზედაფენის მილიტარისტული კურსის გამო.

ახლახან ისრაელში მოწყობილმა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ ცხადყო, რომ ამ ქვეყნის ყოველ მეათე მცხოვრებს მისი დატოვება სურს.

◆ სუდანი

გადაერქვა სახელი

ხართუმი. სუდანის გარდამავალმა სამხედრო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება შეცვალოს ქვეყნის ოფიციალური სახელწოდება. ამიერიდან მას ერქმევა სუდანის რესპუბლიკა, რაც, სუდანის საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, შეესაბამება დროებითი კონსტიტუციის დებულებებს.

წიგნის თარო

მეცნიერების ძვირფასი შენაძენი

მოსკოვის საგამოფენო დარბაზებში

ქართული ფრესკების ბრწყინვალება

საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროს, აღმოსავლეთის ხალხების ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს და საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის თაოსნობით მოსკოვში აღმოსავლეთის ხალხების ხელოვნების მუზეუმის დარბაზებში გაიხსნა გამოფენა „საქართველოს შუა საუკუნეების ფრესკები“.

მშვენივრად გაფორმებული კატალოგის გარეკანზე ყინწვისის ეკლესიის ფრესკაა გამოსახული. აქვე ცნობილი ხელოვნებათმცოდნე ა. ლიდოვი წერს: „საქართველოს „ფრესკული ფერწერის მუზეუმს“ ეძახიან. მსოფლიოს ძალზე ცოტა ქვეყანა თუ შეეცილება მას პირველობაში, ასე ბრწყინვალედ და ტევადად წარმოადგინოს შუა საუკუნეების მონუმენტური ფერწერა“.

გამოფენის გახსნას წინ უძღოდა და რამდენიმე დღეს გაგრძელდა სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ ქართველი, მოსკოველი, ლენინგრადელი, ერევნელი, შუააზიელი მეცნიერები. კონფერენციაზე ფართოდ მიმოიხილეს შუა საუკუნეების ფერწერის ისტორია და მისი განვითარების გზები და ეტაპები. მოხსენებათა შორის საყოველთაო მოწონებით და ყურადღებით გამოირჩეოდა ლ. ევსეევას, ნ. ბურჭულაძის, მ. ვაჩნაძის, მ. დიდებულიძის, ა. ლიდოვის, პ. მურადიანის, ი. მამაცაშვილის, გ. ჭეიშვილის, ე. პრივალოვას და მ. სინაურიძის ნაშრომები.

გამოფენა შესავალი სიტყვით გახსნა აღმოსავლეთის ხალხების ხელოვნების მუზეუმის დირექტორმა ვ. ნაბოდჩიკოვმა: „დღევანდელი ვერნისაჟი, — თქვა მან, — ბევრ სიხარულს მოუტანს მოსკოველებს და მოსკოვის მრავალრიცხოვან სტუმრებს. ქართველი ხალხის შემოქმედებითმა გენიამ ეს შედევრები ისტორიის ქარცეცხლში გამოატარა და ჩვენამდე მოიტანა. ეს არის ჭეშმარიტი ხელოვნების განუმეორებელი ზეიმი და კიდევ ერთი დადასტურება რუსი და ქართველი ხალხების ურღვევი და ძმური მეგობრობისა“...

შემდეგ გამოვიდა საქართველოს სსრ ხელოვნების მუზეუმის დირექტორი თ. სანიკიძე. „ასეთი გამოფენა საერთოდ პირველად ეწყობა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, — თქვა მან. — მოსკოვში წარმოდგენილია IX-XIV საუკუნეების ქართული ფრესკების საუკეთესო ნიმუშები — სულ 49 ასლი. მნახველებს საშუალება აქვთ გაეცნონ ვარძიის, დავით გარეჯის, ატენის, ყინწვისის, ზემო კრიხის და სვანეთის ეკლესიების კედლის მოხატულობას. აქვე მინდა დიდი მადლობით მოვიხსენიო რესტავრატორები, რომლებმაც მართლაც რომ ტიტანური შრომა გასწიეს პირებზე მუშაობის დროს. ესენი არიან საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ტ. შევიაკოვა, რომელიც 1929 წლიდან მოყოლებული ერთგული მეგობარია ჩვენი კულტურის და ხელოვნებისა, ა. ოვჩინიკოვი, შ. აბრამიშვილი, ს. მირზაშვილი და სხვები. დღევანდელი გამოფენა პირველი ღონისძიებაა იმ პერსპექტიული და ფართო გეგმიდან, რომელიც დაიდო და ხორციელდება ორ მუზეუმს შორის. მომავალი კონტაქტების გვირგვინი იქნება ფიროსმანის ნამუშევრების ჩვენება ამ დარბაზებში 1986 წელს.

სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე რუსეთის სფსრ სახალხო მხატვარმა, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა ნ. ანდრონოვმა, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატმა, არქეოლოგმა ვ. იანინმა, ხელოვნებათმცოდნე ა. ოვჩინიკოვმა და საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ტ. შევიაკოვამ.

აი რამდენიმე ინტერვიუ საგამოფენო დარბაზებიდან: **ვ. იანინი** — „ძალზე აღელვებული ვარ, საოცარ სამყაროში მოვხვდი, მინდა ასეთი ზეიმი დიდხანს, დიდხანს გაგრძელდეს. როგორი დახვეწილი და ჩამოქნილია ასლები! ისინი ადეკვატურია შორეული საუკუნეების ფერწერისა. სწორედ ეს არის საწინდარი დიდი ჭეშმარიტი ხელოვნებისა“.

ნ. ანდრონოვი: „თავისი განუმეორებლობით და გრძნეული სულით შუა საუკუნეების ქართული ფრესკები ეხმიანება დღევანდელ მონუმენტურ ხელოვნებას. ამ შედევრებზე იზრდებოდნენ და კიდევაც გაიზრდებიან მხატვრები. დიდი რუსული მადლობა ყველას, ვინც მოგვანიჭა ასეთი სიხარული და დაუვიწყარ წუთებს გვაზიარა“..

ტ. შევიაკოვა: „პირველად 1929 წელს ჩამოვედი საქართველოში, დავით გარეჯის მონასტერში ვმუშაობდი, საქართველო ჩემი მეორე სამშობლოა, არსად ისე ფაქიზად არ არის დაცული გარდასულ დღეთა ძეგლები, როგორც თქვენთან. ასეთი ხელოვნება მარადიულია, ის არასდროს დაბერდება, რადგან ქართველი ხალხის გენიით არის გასხივოსნებული“...

დ. მაჭავარიანი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ოჰ, ეს მანდარინი, მანდარინი...

წელს საქართველოს მეციტრუსეებს განსაკუთრებით მძიმე პირობებში მოუხდათ შრომა; ნაზამთრალ, მოყინულ და ტოტებდამტვრეულ ბაღებში, ცხადია, უხვი მოსავლის მოწევა გაძნელდა; შარშანდელთან შედარებით იკლო მოსავალმა და ნარინჯების ნაყოფს ბაზარზე უფრო მეტი ფასი დაედო. პატიოსანი, გამრჯე მეციტრუსეები საგულდაგულოდ იღვწიან, რათა მთელი მოსავალი სახელმწიფოს მიჰყიდონ. საზოგადოებრივი მეურნეობებისა და საკარმიდამო პლანტაციებში ერთი დევიზით იბრძვიან — უდანაკარგოდ აიღონ ციტრუსოვანთა მოსავალი და მიჰყიდონ სახელმწიფოს.

ასეთი კრიტიკული ვითარების დროს რესპუბლიკის გარეთ — აზერბაიჯანის, სომხეთის, უკრაინისა და სხვა მოძმე რესპუბლიკებისა და კრასნოდარის მხარის ბაზრებზე მანდარინის გატანას ცდილობს და როგორღაც ახერხებს სუბტროპიკული რაიონების ზოგიერთი მომხვეჭელი და იოლად გამდიდრების მოყვარული. სპეკულაციაში გაწაფული მუქთახორები მამასისხლად სთავაზობენ მომხმარებელს მანდარინს.

ბუნებრივია, კოკა წყლის გზაზე ხშირად გატყდება ხოლმე. ასე იყო ამჯერადაც. ბევრი მათგანი გაება, გზაში მაშინ დააკავეს, როცა თავი სამშვიდობოზე დაიგულეს.

ვინ არიან ისინი?

ამ რამდენიმე დღის წინათ ლანჩხუთის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების მუშაკებმა სოფელ სუფსის ტერიტორიაზე დააკავეს სატვირთო ავტომანქანა „გაზ-53“ (სახელმწიფო ნომერი „41-77-ადლ“), რომელიც ეკუთვნის ქ. ერევნის მეშვიდე სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს. ავტომანქანას მართავდა მძღოლი აკოფ მაკარიანი, რომელიც ქ. ერევანში, ნორ-არეშის დასახლებაში ცხოვრობს. მანქანის ვეებერთელა ძარა საგულდაგულოდ იყო შენიღბული ცარიელი ყუთებით. როცა მილიციის მუშაკებმა შემოწმება დაიწყეს, მძღოლმა ღიმილით გადმოსძახა კაბინიდან: რამდენიც გნებავთ, იმდენი ეძიეთ, მე ცარიელი ყუთები გადამაქვსო, მაგრამ ტყუილს მოკლე ფეხები აბია. მანქანაში 1.407 კილოგრამი მანდარინი აღმოჩნდა და მძღოლიც გამოტყდა: ეს მანდარინი ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ჩაისუბნის მცხოვრები სულიკო ბაკურაძისა გახლავთ, მისი თხოვნით ქ. ერევანში მიმქონდაო. ის იქ, ბაზრის შესასვლელთან დამხვდება; გასამრჯელო 500 მანეთს შემპირდა, 150 მანეთი წინასწარ მომცა, დანარჩენი იქ უნდა მომცესო.

საინტერესოა ამ მარცხით დამთავრებული რეისის მოკლე ამბავი:

სულიკო ბაკურაძე ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ჩაისუბნიდან მთელ ერთ კვირას ეზიდებოდა მანდარინს. მანდარინით სავსე ყუთებს მახარაძის რაიონის სოფელ ნატანებში მცხოვრების, მისი მეგობრის ილია თავაძის სახლში ინახავდა. მანდარინის გადმოზიდვა-გადამალვაში მისი მეგობარი დურსუნ ბერიძე ეხმარებოდა. მათ მანდარინი საკუთარი მსუბუქი ავტომანქანით („გაზ-21“—№ 99-48) გადაზიდეს.

როცა ციტრუსები წასაღებად გაამზადა, ს. ბაკურაძე დაუკავშირდა ერევნელ მძღოლს ა. მაკარიანს. მანდარინით დატვირთული ავტომანქანა ერევნისკენ დაიძრა, მაგრამ... გაებნენ.

დიახ, გაებნენ, მაგრამ აქ სხვა რამეა საგულისხმო: ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ჩაისუბნის კოლმეურნეობის მესვეურებს ელემენტარული სიფხიზლე რომ გამოეჩინათ, ეს სამარცხვინო ფაქტი არ მოხდებოდა. ხელვაჩაურიდან სოფელ ნატანებამდე 50 კილომეტრზე მეტი მანძილია; მთელ შვიდ დღეს ეზიდებოდნენ მანდარინს. ნუთუ ვერავინ შენიშნა ეს? შენიშნეს, როგორ ვერ შენიშნეს, მაგრამ განგებ დახუჭეს თვალი, და მეზობლებს დათვური სამსახური გამოუვიდათ.

ერთიც უნდა ითქვას. მდინარე ჩოლოქის ხიდთან, ქობულეთისა და მახარაძის რაიონების საზღვარზე მილიციის სადღეღამისო საგუშაგოა. ერთი კვირის მანძილზე ერთი და იგივე ავტომანქანა წინ და უკან გამუდმებით რომ დაქროდა, მილიციის მუშაკები რატომ არ დაეჭვდნენ და ერთხელ მაინც არ გააჩერეს.

კიდევ უფრო აღმაშფოთებელი ფაქტი მოხდა მილიციის ჯაპანის სამეთვალყურეო საგუშაგოსთან. 30 ნოემბერს ღამით 4 საათზე, მორიგეობდნენ ლანჩხუთის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის მუშაკები. საგუშაგოს მოულოდნელად მოადგა ბათუმის მხრიდან მომავალი „კამაზის“ მარკის ორი მანქანა, რომლებიც მანდარინით იყო დატვირთული. მანქანიდან სწრაფად ჩამოხტა ერთ-ერთი თანხმლები პირი. მან ერთი მანქანის ტვირთის დოკუმენტები წარუდგინა გუშაგებს, რომლებმაც ჩაწერეს საკონტროლო ჟურნალში. ამასობაში უცნობმა ასი მანეთი შეაჩეჩა საგუშაგოს მორიგეს ამირან ჯიბლაძეს, თანაც დაუყვავა, ეს ერთი მანქანა გაგვიტარეთ, მეორეს ნუ გაატარებთ, ჩვენ ასე გვინდაო. ეს თქვა და გარეთ გავარდა და... თვალსა და ხელს შუა დაიძრნენ ადგილიდან მანდარინით დატვირთული მანქანები. მდგომარეობა დაიძაბა...

მაგრამ მოულოდნელად ლანჩხუთის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი გ. ქურიძე, ოპერრწმუნებული, მილიციის ლეიტენანტი ჯ. ლომაძე და საგზაო ზედამხედველობის ინსპექტორი ი. ორაგველიძე გამოჩნდნენ. ისინი ბოროტმოქმედებს დაედევნენ, ორიოდე კილომეტრის გავლის შემდეგ მანდარინით დატვირთული მანქანები (სახელმწიფო ნომრები „04-05 გაპ“, „08-94 გაპ“) მილიციის რაიონულ განყოფილებაში მიაბრუნეს.

ვისია ავტომანქანები? — იკითხავს მკითხველი.

საქმე ასე იყო: წითელწყაროს რაიკოოპერატივის მესვეურებმა მანდარინის შესაძენად მინდობილობა გააფორმეს წითელწყაროს რაიკოოპერატივის სასურსათო მაღაზიის გამგის არჩილ ხუციშვილის სახელზე და... ამ მინდობილობით ნოემბრის ბოლოს ქობულეთის რაიონის ალამბრის საბჭოთა მეურნეობაში მანდარინის მისაღებად წარდგა არა ხუციშვილი, არამედ „საქნავთობის“ მუშათა მომარაგების განყოფილების წითელწყაროს სასადილოს მებუფეტე თამაზ ხარაშვილი. მეურნეობის მუშაკებს არც პასპორტი, არც პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი არ მოუთხოვიათ ხარაშვილისათვის, ისე დაუტვირთეს 12.933 კილოგრამი მანდარინი და გზა მშვიდობისა უსურვეს.

დანაშაულებრივი დაუდევრობა ამაზე შორს ვერ წავა. მანდარინით დატვირთულმა მანქანებმა მშვიდობიანად იარეს და ჩოლოქის საგუშაგოზე ერთი ავტომანქანა გაატარეს. სამეთვალყურეო ჟურნალში გააფორმეს სათანადო დოკუმენტი, მეორე ავტომანქანა კი თითქოს „გამორჩათ“.

ამის შემდეგ, ის იყო ჯაპანის საგუშაგოს მიადგნენ, რომ რეისის მოთავემ თამაზ ხარაშვილმა აქაც სცადა თავის დაძვრენა, მაგრამ საეჭვო ტვირთი ჩამოართვეს და სახელმწიფო დამზადების ორგანიზაციას ჩააბარეს. თ. ხარაშვილის საქმე კი, როგორც ქრთამის მიმცემისა, რაიონის პროკურატურას გადაეცა.

ბევრი რამ ფრიად საინტერესო და გასარკვევია ამ უღიმღამო რეისის ოპერაციაში. მაგრამ არ შეიძლება აქ კიდევ ერთი კითხვა არ დაგვებადოს: თამაზ ხარაშვილსა და მის აშკარა თუ ფარულ დამხმარეებს, რატომ სურდათ ორი მანქანიდან მხოლოდ ერთ-ერთი მანქანა გაეფორმებინათ საგუშაგოს საკონტროლო ჟურნალში?

ამ კითხვაზე საგამოძიებო სამსახურის მუშაკებისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში ხარაშვილიც უჩვენებს, რომ ერთ მანქანაში არსებულ 6.375 კილოგრამ მანდარინს მაღაზიის შემოსავალში აიღებდნენ და გაასაღებდნენ, ხოლო მეორე მანქანაში არსებულ ამდენსავე მანდარინს უფრო სარფიან ფასად გაყიდდნენ. ასეა თუ ისე, ამას გამოძიება მოჰფენს ნათელს.

ერთი ფაქტიც: „კომუნისტის“ მახარაძის საკორესპონდენტო პუნქტში 4 დეკემბერს დარეკეს — ლანჩხუთის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკებმა შორეულ ბაზრებზე მიმავალი მანდარინით დატვირთული „გაზ-24“ მარკის ავტომანქანა დააკავესო. რამდენიმე წუთში ადგილზე ჩავედით. ვნახეთ შავი „ვოლგა“ № 86-88-გლ. მანქანა ჭერამდე იყო სავსე მანდარინით (ერთ ტონამდე).

ვისია იგი? — სამტრედიის რაიონის სოფელ საჯავახოს მცხოვრებ ზურაბ ადეიშვილისა იყო მანქანა. მისი განმარტებით მანდარინი სარეალიზაციოდ მოჰქონდა თავის ცოლის ძმისაგან სოფელ ნატანებში მცხოვრები იოსებ ცენტერაძისაგან.

ბოლოს და ბოლოს, დამაფიქრებელი მაინც ის არის, რომ საზოგადოებრივი აზრის ძალას, ეტყობა, ჯერ კიდევ ვერ გრძნობენ სპეკულანტები და იოლი საშოვრის მოყვარულები, თორემ ისინი ასე თავისუფლად ხომ ვერ იპარპაშებდნენ?!

გ. ჩხაიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

გვეპატიჟება „ბავშვთა სამყარო“

ახალ წელს ელიან თბილისი და თბილისელები. თოვლის პაპებით, ფიფქებით, ნაძვისხეებით მოირთო მაღაზიები, კეთილად „იღიმებიან“ ვიტრინები.

დაიწყო საახალწლო ვაჭრობაც, რომლის ცენტრიც საქალაქო სავაჭრო-სამრეწველო ფირმა „ბავშვთა სამყაროს“ მეთაური მაღაზიაა, სადაც ასე ძალუმად იგრძნობა სადღესასწაულო განწყობილება. ყველა სართული, სექცია გემოვნებით არის მორთული და გაფორმებული, ჭერიდან კი ნაირფერი „წვიმა“ ეშვება. არც ერთი დარბაზი არ ჰგავს მეორეს, რაც თვად მომსახურე პერსონალის დამსახურებაა.

— საახალწლო ბაზრობის ორგანიზებული მოწყობისათვის საგულდაგულოდ მოვემზადეთ, — გვითხრა ფირმის დირექტორმა ლიანა მაჩაიძემ. — პროდუქციას გვიგზავნიან მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, გომელიდან... პატარებს ლამაზ საჩუქრებს უმზადებს თბილისის სათამაშოების ფაბრიკა „სიხარული“, რომელიც საახალწლო ზეიმისათვის 500 ათას ხელოვნურ ნაძვისხესაც მოგვაწვდის.

...ხალხმრავლობაა სათამაშოების სექციაში.. მარტო პატარებს როდი სტაცებს თვალს ფერადი ბურთები, ჩიტები, სოკოები. „წვიმები“ კი, შარშან დეფიციტად რომ ითვლებოდა, ახლა იმდენია, რომ ცალკე განყოფილებაში იყიდება.

წელს საახალწლო ვაჭრობაში ბევრი სიახლეა. გაიზარდა ასორტიმენტი. ასე რომ, აღარ იქნება მინის სათამაშოების, ელექტროგირლანდებისა და ხელოვნური ნაძვისხის ნაკლებობა.

ბავშვთა სამყაროს კაფე ტკბილეულითაც გაუმასპინძლდება მსურველთ. და, რაც მთავარია, 25 დეკემბერს მაღაზიის წინა მოედანზე ვეებერთელა ნაძვისხე აღიმართება, აქვე მოეწყობა ატრაქციონები და სახალხო მეჯლისი.

ლია კილაძე,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი.

სურათზე: საახალწლო ვაჭრობა „ბავშვთა სამყაროში“.
ფ. კრიმსკის ფოტო.

სასიხარულო სიახლენი

● **კარგი** საჩუქარი მიიღეს ზემო ხოდაშნელებმა. აქ გაიხსნა სოფლის კლუბი, რომლის დარბაზი 400 მაყურებელს იტევს.

კლუბში ყველა პირობაა შექმნილი წრეობრივი მუშაობისათვის.

● **დაბა** ორჯონიკიძეში, ლენინის ქუჩაზე გაიხსნა ახალგაზრდული კაფე-ბარი „ციცინათელა“. აქ გათვალისწინებულია შეხვედრები მწერლებთან, მსახიობებთან, სპორტსმენებთან, ახალდაქორწინებულებთან, ომისა და შრომის ვეტერანებთან, რაიონის გამოჩენილ ადამიანებთან.

● **ზესტაფონის** რაიონის სოფელ პირველ სვირში მწყობრში ჩადგა სოფლის კლუბის ორსართულიანი შენობა, რომელსაც ფართო, ნათელი ოთახები აქვს წრეობრივი მუშაობისათვის; მისი დარბაზი 250 მაყურებელს იტევს.

როცა ცხოვრების მაჯისცემას გრძნობ

გასულ შაბათს თბილისის კინოს სახლის მცირე დარბაზში დამთავრდა ახალგაზრდა კინემატოგრაფისტთა ნამუშევრების IV საკავშირო დათვალიერება-კვირეულის მულტიპლიკაციური ფილმების საკონკურსო პროგრამის ჩვენება. საქინფორმის კორესპონდენტმა სთხოვა მულტიპლიკაციური ფილმების ჟიურის თავმჯდომარეს, კინორეჟისორ ვ. ტარასოვს გაეზიარებინა თავისი შთაბეჭდილებანი:

— პროგრამა იმდენად მრავალფეროვანი და შინაარსიანი იყო, რომ არ შემიძლია დავასახელო არც ერთი აშკარად სუსტი ფილმი, ზუსტად ისევე, როგორც განსაზღვრო აბსოლუტური ლიდერები. გაგვახარა სვერდლოვსკელი, მოსკოველი, უკრაინელი მულტიპლიკატორების ნამუშევრებმა. კარგი ფილმები გვიჩვენეს ესტონეთის კინემატოგრაფისტებმა, სადაც მულტიპლიკაციის ხელოვნებას დიდი ხნის მდიდარი ტრადიციები აქვს. მშვენიერი ნამუშევრები ჩამოიტანეს მოლდავეთიდან და ყაზახეთიდან. ძალიან საინტერესოდ გამოვიდნენ ახალგაზრდა ქართველი მულტიპლიკატორები. განსაკუთრებით მოგვეწონა ფილმი „ამბავი გულუბრყვილო ბატი ტასიკოსი და მისი ერთგული მეგობარი ძაღლის ბართლომესი“, რომელიც რეჟისორმა დ. სიხარულიძემ დადგა. მე მახსოვს მისი ფართოდ ცნობილი ფილმი „პირი“, სადაც იგი ერთდროულად არის სცენარის ავტორიც და მხატვარიც.

შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ ახალგაზრდა მულტიპლიკატორთა დღევანდელი ფილმები არსებითად განსხვავდება იმ ფილმებისაგან, რომლებითაც რეჟისორები ცხოვრებას იწყებდნენ 10-15 წლის წინათ. „მულტები“ უკვე აღარ არის მარტო საბავშვო ფილმები. ახლანდელი დათვალიერების პროგრამაში, მაგალითად, წარმოდგენილია ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური, სოციალური, ფანტასტიკური შინაარსის ფილმები. მათ შორის არის ეკრანიზაცია ფილმისა ისეთი რთული მწერლის მოთხრობის მიხედვით, როგორიც არის ანდრია პლატონოვი. თუმცა, რა თქმა უნდა, ბავშვებიც არ არიან დავიწყებული. ვფიქრობ, რომ ფილმი „როგორ ცვლიდნენ ცას ზღარბი და დათუნია“ (კიევის სამეცნიერო ფილმების სტუდია), „ჩაჩიანი კატა“ (სვერდლოვსკის კინოსტუდია) და ბევრი სხვა მოეწონებათ ბავშვებს.

დამთავრდა ქრონიკალურ-დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების ჩვენება. ქვეყნის ოცზე მეტი კინოსტუდიის ახალგაზრდა რეჟისორებმა წარმოადგინეს 40-მდე ნამუშევარი. კინოპუბლიცისტთა ფილმების თავისებურება ის არის, რომ ვხედავთ, თუ როგორ გრძნობს ახალგაზრდობა ცხოვრების მაჯისცემას.

დათვალიერება-კვირეულის სტუმრებს შორის არის სოციალისტური ქვეყნების ეკრანის ოსტატთა, კინომცოდნეთა, ჟურნალისტთა დიდი ჯგუფი. სიტყვას ვაძლევთ ერთ-ერთ მათგანს, პოლონური ჟურნალის „ფილმის“ მთავარ რედაქტორს ჩესლავ დონძილოს:

— დღეს კინომაყურებელთა დიდ უმრავლესობას ახალგაზრდობა შეადგენს. ამიტომაც ასე მნიშვნელოვანია ყურადღება გამოვიჩინოთ ეკრანის ახალგაზრდა მუშაკთა შემოქმედებისადმი, რომლებიც მწვავედ გრძნობენ თანამედროვე პრობლემებს. ახალგაზრდა კინემატოგრაფისტთა ფორუმები ახლა იმართება მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, ასეთი ფესტივალი ეწყობა პოლონეთში. საკავშირო დათვალიერება-კვირეული გამოირჩევა თავისი მასშტაბით, მონაწილეთა სიმრავლით, ფილმების თემატიკური მრავალფეროვნებით. ნანახი ფილმებიდან მინდა აღვნიშნო რეჟისორ ს. სნეჟკოს მოკლემეტრაჟიანი სურათი „ჰეი, სახაზო ხომალდზე“. ძალიან მომეწონა ვ. სოროკინის ფილმი „იყო ერთი ექიმი“, რომელშიც აშკარად იგრძნობა ჩეხოვისეული სტილისტიკის ტრადიციები.

ახალგაზრდა კინემატოგრაფისტთა ნამუშევრების დათვალიერება გრძელდება.

ჰალეის კომეტა: შეხვედრა 76 წლის შემდეგ

და კვლავ, ისევე როგორც 76 წლის წინათ, ჩვენი პლანეტა შეხვდა კომეტას, რომელიც აღმომჩენის — სახელგანთქმული ინგლისელი ასტრონომის ჰალეის სახელობისაა. ამ მოვლენას მოუთმენლად ელოდნენ მეცნიერები, ფართო საზოგადოებრიობა.

ყველა ობსერვატორიის ტელესკოპი მიმართულია ვარსკვლავთშორის სამყაროთა სტუმრისაკენ. მუდამ ცისკენ არის მიმართული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ფოტოგრაფიული, სპექტრული და ელექტრონული აპარატურით აღჭურვილი ექვსი ტელესკოპიც. ქართველი მეცნიერები — ჰალეის კომეტის შემსწავლელი საკავშირო სამეცნიერო პროგრამის მონაწილენი არიან. ეს პროგრამა საბჭოთა ასტროფიზიკოსებმა შეიმუშავეს. აბასთუმანში წარმოებს პოზიციური დაკვირვება, რათა განსაზღვრონ ციური სტუმრის ზუსტი განლაგება ცის კამარაზე. მისი შედეგები დასამუშავებლად გადაეცემა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის თეორიული ასტრონომიის ინსტიტუტს.

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის მოადგილემ, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ვიქტორ ჯაფიაშვილმა საქინფორმის კორესპონდენტს უთხრა:

— ჰალეის კომეტა აბასთუმნის ცაში პირველად გამოჩნდა მიმდინარე წლის ივლისის დამლევს. მას შემდეგ არაერთხელ გვიდევნებია თვალი მისთვის. ბოლო დღეებში კომეტა შესამჩნევად გაკაშკაშდა და მისი დანახვა შეუიარაღებელი თვალითაც კი შეიძლება. ახლა იგი თევზების თანავარსკვლავედში იმყოფება და, ჩაუვლის რა დედამიწას 98 მილიონ კილომეტრ მანძილზე, სწრაფად მოძრაობს მზისკენ წამში 85 კილომეტრი სიჩქარით.

შესამჩნევად დაგრძელდა კომეტის კუდი, რომელიც ცაზე 8 გრადუსზეა განვრცობილი, მაგრამ სივრცეში მისი ნამდვილი სიგრძე რამდენიმე ათეულ მილიონ კილომეტრს აღწევს. მზესთან მიახლოების კვალობაზე კომეტის გულისა და თავის წიაღში ძლიერდება აქტიური პროცესები, რასაც ადასტურებს კომეტის გამოსხივების ეგრეთ წოდებული პოლარიზაციული ცვლილებები და მის სპექტრში ახალ ნივთიერებათა ხაზების გამოჩენა. გაძლიერდა გაზების და მტვეროვანი მყარი ნაწილაკების გამოფრქვევაც. ისინი ჩამორჩებიან კომეტის თავს, ფენებად ლაგდებიან კუდში და მის განშტოებებს ქმნიან.

რამდენიმე დღის შემდეგ ჰალეის კომეტის ხილვა გაძნელდება. თებერვალში იგი მაქსიმალურად მიუახლოვდება მზეს 88 მილიონ კილომეტრ მანძილზე, შემოუვლის მას და დაადგება თავის გზას პლანეტური სივრცის კიდეებისაკენ.

დედამიწა ჰალეის კომეტას კიდევ შეხვდება 2062 წელს.

ჭადრაკის დაფებთან

საქართველოს პირველობის (უმაღლესი ლიგა) მეოთხე ტურში იაილიანმა შავებით ყაიმს მიაღწია გათამაშების ლიდერთან დიდოსტატ გუფელდთან. ეს ლიდერის პირველი დაკარგული ქულაა — მას მესამე ტურიდან გადადებულ პარტიაში თამაშის განუახლებლად დანებდა ჯანჯღავა. ამავე დღეს დიდოსტატმა ზაიჩიკმა მოუგო გედევანიშვილს, ბაღათუროვმა — ბოკუჩავას. ნორჩმა ოსტატობის კანდიდატმა მანაგაძემ (ქუთაისი) მოუგო ოსტატ ჩიქოვანს. ყაიმზე შეთანხმდნენ შალამბერიძე და ჯანჯღავა.

გადადებული პარტიების დამთავრებისას გიორგაძემ მოუგო ტაბატაძეს და ყაიმზე შეუთანხმდა აზმაიფარაშვილს. აზმაიფარაშვილმა მოუგო შალამბერიძეს, სტურუამ — ჩიქოვანს, იაილიანმა — მანაგაძეს, ტაბატაძემ — გედევანიშვილს; ტაბატაძე და ბაღათუროვი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ოთხი ტურის შემდეგ გუფელდს 3,5 ქულა აქვს, ზაიჩიკსა და გიორგაძეს — 3-3 ქულა.

ვილნიუსში გრძელდება დამატებითი მატჩ-ტურნირი სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად. მეორე წრის შეხვედრა ვ. გავრიკოვსა და ა. ჩერნინს შორის 41-ე სვლაზე გადაიდო. ჯერჯერობით ტურნირის სამივე მონაწილეს თითო ქულა აქვს.

ჰოლანდიის ქალაქ ჰილვერსუმში დაიწყო ამხანაგური მატჩი მსოფლიოს ჩემპიონ გარი კასპაროვსა და მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალისტ ჰოლანდიელ დიდოსტატ იან ტიმანს შორის. ამ მატჩში ექვსი პარტია გაიმართება. პირველ პარტიაში 52-ე სვლაზე გაიმარჯვა გარი კასპაროვმა. ეს ორი დიდოსტატი აქამდე რვაჯერ შეხვედრიან ერთმანეთს. ორი პარტია მოიგო კასპაროვმა, ერთი — ტიმანმა, დანარჩენი ყაიმით დამთავრდა.

ფეხბურთის ამბები

წილისყრის შედეგები

კვირას, 15 დეკემბერს მეხიკოს სატელევიზიო ცენტრში გაიმართა ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის წილისყრა, რომლის შედეგადაც გუნდები ასე განაწილდნენ:

პირველი ჯგუფი — იტალიის, ბულგარეთის, არგენტინისა და სამხრეთ კორეის ნაკრები გუნდები. ეს თამაშები გაიმართება ქალაქებში პუებლოსა და მეხიკოში.

მეორე ჯგუფი — ითამაშებენ **მექსიკის, ბელგიის, პარაგვაისა** და **ერაყის** ნაკრები გუნდები მეხიკოსა და ტოლუკაში.

მესამე ჯგუფი — სსრ კავშირის, საფრანგეთის, უნგრეთისა და კანადის ნაკრები გუნდები. ისინი იასპარეზებენ ქალაქების ლეონისა და ირაპუატოს სტადიონებზე. პირველ მატჩს სსრ კავშირის ნაკრები გამართავს 2 ივნისს ირაპუატოში უნგრეთის ნაკრებთან, 5-ში ქ. ლეონში საფრანგეთის ფეხბურთელებთან, ხოლო 9 ივნისს — ირაპუატოში კანადის ნაკრებთან.

მეოთხე ჯგუფში ითამაშებენ **ბრაზილიის, ესპანეთის, ალჟირისა და ჩრდილოეთ ირლანდიის** ნაკრები გუნდები. ამ გუნდების შეხვედრები გაიმართება ქ. გვადალახარაში.

მეხუთე ჯგუფი — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ურუგვაის, შოტლანდიისა და დანიის ფეხბურთელები. მათი თამაშები გაიმართება ქალაქებში კერეტაროში და ნესაუალკოიოტლში.

მეექვსე ჯგუფი — პოლონეთის, მაროკოს, პორტუგალიისა და **ინგლისის** ნაკრები გუნდები; ქალაქ მონტერეიში.

ფინალური ტურნირი დაიწყება 31 მაისს მეხიკოში „აცტეკის“ სტადიონზე; ერთმანეთს შეხვდებიან იტალიისა და ბულგარეთის ნაკრები გუნდები.

პირველი ეტაპის შემდეგ მერვედფინალში ბრძოლას განაგრძობს 16 გუნდი, თითოეული ჯგუფიდან ორ-ორი უძლიერესი და კიდევ ოთხი ნაკრები, რომლებიც თავიანთ ჯგუფებში დაიკავებენ მესამე ადგილს და ექნებათ საუკეთესო მაჩვენებლები. შემდეგ გაიმართება მეოთხედფინალური, ნახევარფინალური და ფინალური მატჩები მსოფლიო ჩემპიონატის მედლების მოსაპოვებლად.

33 საუკეთესო

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა განვლილი სეზონის შედეგების მიხედვით დაამტკიცა ქვეყნის 33 საუკეთესო ფეხბურთელის სია. გაგაცნობთ მათ ვინაობას.

მეკარეები: 1. რ. დასაევი („სპარტაკი“), 2. მ. მიხაილოვი (კიევის „დინამო“), 3. ს. კრაკოვსკი („დნეპრი“).

მარჯვენა მცველები: გ. მოროზოვი („სპარტაკი“), 2. ნ. ლარიონოვი („ზენიტი“), 3. ვ. სოჩნოვი („სპარტაკი“).

ცენტრალური მცველები: 1. ს. ბალტაჩა (კიევის „დინამო“), 2. ა. ჩივაძე (თბილისის „დინამო“), 3. ა. ბუბნოვი („სპარტაკი“) და 1. ბ. კუზნეცოვი („სპარტაკი“) 2. ო. კუზნეცოვი (კიევის „დინამო“), 3. ს. პუჩკოვი („დნეპრი“).

მარცხენა მცველები: 1. ა. დემიანენკო (კიევის „დინამო“), 2. ბ. პოზდნიაკოვი (მოსკოვის „დინამო“), 3. ა. იანონისი („ჟალგირისი“).

მარჯვენა ნახევარმცველები: 1. ს. გოცმანოვი მინსკის „დინამო“), 2. გ. ლიტოვჩენკო („დნეპრი“), 3. ი. იარემჩუკი (კიევის „დინამო“).

ცენტრალური ნახევარმცველები: 1. ვ. ბესონოვი (კიევის „დინამო“), 2. ს. ალეინიკოვი (მინსკის „დინამო“), 3. ს. ვოლგინი („კაირატი“).

მარცხენა ნახევარმცველები: 1. ფ. ჩერენკოვი („სპარტაკი“), 2. ვ. რაცი (კიევის „დინამო“), 3. ა. ზიგმანტოვიჩი (მინსკის „დინამო“).

მარჯვენა გარემარბები: 1. ო. პროტასოვი („დნეპრი“), 2. ს. დმიტრიევი („ზენიტი“), 3. ი. ბელანოვი (კიევის „დინამო“).

ცენტრალური თავდამსხმელები: 1. ა. ზავაროვი (კიევის „დინამო“), 2. ი. გავრილოვი („სპარტაკი“), 3. ვ. პასულკო („ჩერნომორეცი“)

მარცხენა გარემარბები: 1. ო. ბლოხინი (კიევის „დინამო“), 2. გ. კონდრატიევი (მინსკის „დინამო“), 3. ს. როდიონოვი „სპარტაკი“).

ყველაფერი ბოლო ტურში გადაწყდა

15 დეკემბერს მოსკოვში გაიმართა უმაღლესი ლიგის საგზურისათვის მებრძოლ ფეხბურთელთა გუნდების ბოლო გადამწყვეტი ტურის მატჩები. ერთმანეთს შეხვდნენ ბაქოს „ნეფთჩი“ და რიგის „დაუგავა“. მატჩი დამთავრდა „ნეფთჩის“ გამარჯვებით ანგარიშით 4:0. ოდესის „ჩერნომორეცისა“ და ცსკას მატჩში აღინიშნა ფრე — 1:1. ამრიგად უმაღლესი ლიგის გუნდებმა „ჩერნომორეცმა“ და „ნეფთჩიმ“ ეს ტურნირი კარგად ჩაატარეს და მოიპოვეს უფლება 1986 წლის ჩემპიონატში კვლავ უძლიერესთა შორის იასპარეზონ. ოთხთა ტურნირის საბოლოო შედეგები ასეთია: „ჩერნომორეცი“ — 9 ქულა, „ნეფთჩი“ — 7, ცსკა — 5 და „დაუგავა“ — 3 ქულა.

სატურნირო ორბიტა

ქართული ჭიდაობა. 14 დეკემბერს თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა საქართველოს აბსოლუტური პირველობა. რესპუბლიკის აბსოლუტური ფალავნის წოდება მოიპოვა ქარელელმა მოჭიდავემ ჯემალ მჭედლიშვილმა.

ხელბურთი. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გრძელდება „ბ“ ჯგუფში მოასპარეზე ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი. მორიგ ტურში სსრ კავშირის ნაკრების მეტოქე იყო რუმინეთის ნაკრები. მატჩი დამთავრდა ფრედ — 18:18. ახლა ამ ორივე გუნდს 5-5 ქულა აქვთ.

იტალიის ქ. ანკონაში გრძელდება ჭაბუკთა (21 წლამდე) მსოფლიო ჩემპიონატი ხელბურთში. მორიგ ტურში სსრ კავშირის ნაკრები შეხვდა იუგოსლავიის ნაკრებს. მატჩი დამთავრდა ფრედ 29:29, სსრ კავშირის ნაკრებმა თავის ქვეჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა და ოქროს მედლების მოსაპოვებლად ისინი შეხვდებიან მეორე ქვეჯგუფში გამარჯვებულ შვეციის გუნდს.

კალათბურთი. 15 დეკემბერს ლენინგრადსა და მინსკში დაიწყო სსრ კავშირის ვაჟთა ჩემპიონატის ბოლო ტური. ლენინგრადში, სადაც ასპარეზობენ ადგილობრივი „სპარტაკი“, ცსკა, თბილისის „დინამო“, კუიბიშევის „სტროიტელი“, კიევის სკა და ვილნიუსის „სტატიბა“, პირველი შეხვედრები ასე დამთავრდა: ცსკა-კუიბიშევის „სტროიტელი“ — 107:78, ლენინგრადის „სპარტაკი“-კიევის სკა — 70:72, თბილისის „დინამო“-ვილნიუსის „სტატიბა“ — 102:77. მინსკში თამაშობენ კიევის „სტროიტელი“, მოსკოვის „დინამო“, კაუნასის „ჟალგირისი“, ტაშკენტის „უნივერსიტეტი“, რიგის „ვეფ“ და მინსკის „რტი“. პირველი მატჩები ასე დამთავრდა: კაუნასის „ჟალგირისი“-ტაშკენტის „უნივერსიტეტი“ — 106:78, კიევის „სტროიტელი“-მოსკოვის „დინამო“ — 91:90, რიგის „ვეფ“-მინსკის „რტი“ — 89:88.

მორიგი მეცადინეობა

21 დეკემბერს, 16 საათზე ჭადრაკის რესპუბლიკური სასახლის საქტო დარბაზში (ლენინის ქ. № 37) გაიმართება ჭადრაკის კულტურის რესპუბლიკური სახალხო უნივერსიტეტის მორიგი მეცადინეობა.

ფიდეს აღმასკომის წევრი, სსრკ ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე, საერთაშორისო დიდოსტატი **იური ავერბახი** წაიკითხავს ლექციას თემაზე „ჭეშმარიტების ძიება ენდშპილში“, საერთაშორისო დიდოსტატის **ედუარდ გუფელდის** ლექციის თემა იქნება „სილამაზე და ესთეტიკა ჭადრაკში“.

ჩვენს ტელეეკრანებზე

მოსკოვი

17 დეკემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — „20 დეკემბერი“. პირველი სერია. 10.45 — გამოგვეხმაურეთ, მებუკენო! 11.15 — მასკანის ოპერა „სოფლის პატიოსნება“. 12.25 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — დოკუმენტური ტელეფილმი. 16.30 — ბავშვებს მხეცების შესახებ. 17.00 — ახალი ამბები. 17.05 — რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუციის 80 წლისთავისათვის. 17.55 — ჰოკეი. 19.15 — ადამიანი და კანონი. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — კ. ვანშენკინი. სხვადასხვა წლების ლირიკა. 20.30 — სკკპ 27-ე ყრილობის შესახვედრად. ყირგიზეთის სსრ ტელევიზიის პროგრამა. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — კონცერტი. 0.10 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15; 10.00 და 13.10 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 9.35 და 10.40 — ისტორია. მეხუთე კლასი. ძველი ბერძნული მითები. 10.10 და 13.40 — ფრანგული ენა. 11.05 — ესთეტიკური აღზრდა. 11.35 და 12.40 — გეოგრაფია. მე-6 კლასი. 12.05 — საჭადრაკო სკოლა. 14.10 — ბ. ლ. ვასილიევი. ნაწარმოებთა კვალდაკვალ. 15.00 — ი.-ს. ბახი. 16.00 და 19.00 — ახალი ამბები. 19.20 — ხალხური მელოდიები. 19.35 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა“. 20.20 — ჰოკეი. შესვენებისას — 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“.. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — „20 დეკემბერი“. მეორე სერია. 23.20 — ახალი ამბები.

თბილისი

17 დეკემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — მოამბე. 10.10 — „კარგი ჩვენც მოგვეწონება,